სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 3 აგვისტო 2000 №147 (1169) | ფასი 50 თეთრი

„ტორპედოს“ მარჯვენა ძელის შემწუხებელი ბრანკო ბოშკოვიჩი (№11), ზურაბ არჩვაძე (ვარდნაში) და თენგიზ სიჭინავა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი (პირველი მატჩი 0:4)
2 აგვისტო. 20 საათი. ქუთაისი. „ტორპედო“. 10 000 მაყურებელი

ტორპედო 2:0 ცრვენა ზვეზდა

1:0 იმედაძე (42), 2:0 ჯანაშია (90)

ვნუხვართ და გვიხარია ქართველებმა იუგოსლავიელებს პიკნიკი ჩაუმწარეს

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

„პიკნიკზე საქართველოში“. ასე დასათაურა ყველაზე პოპულარულმა იუგოსლავიურმა სპორტულმა გამოცემამ „სპორტსკი ჟურნალმა“ 1 აგვისტოს ნომერში იუგთა სიამაყის, ქვეყნის 23-გზის ჩემპიონის, 20-გზის თასის მფლობელის, უეფას 1979 წლის თასის ფინალისტის და 1991 წლის ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტაშორისო თასების მფლობელის ბელგრადული „ცრვენა ზვეზდას“ ქუთაისში „ტორპედოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩზე გამომგზავრებისადმი მიძღვნილი წერილი.

არც ვამტყუნებთ კოლეგებს, ჰქონდათ ამის საბაბი. ერთი კვირის წინ „ტორპედომ“ ბელგრადში ისე შეირცხვინა თავი, მარტო იქაური მას-მედიის კი არა, ჩვენებურის საქილიკოც შეიქნა...

0:4 მართლა ბევრი იყო. საპასუხო, ქუთაისურ მატჩსაც ფაქტობრივად აზრი დაეკარგა. რაღა გასაკვირია, თუ ლიგის შემდგომ ეტაპზე „ცრვენა“ — „ტორპედოს“ წყვილიდან კიევის „დინამოს“ მეტოქედ იუგოსლავიელები მოინათლნენ.

დიახ, ოთხბურთფორიანი იუგოსლავიის ჩემპიონი ქუთაისს თავაწეული და გულდამშვიდებული ჩამოვიდა, იმდენად გულდამშვიდებული, რომ საპასუხო თამაშზე ლიდერები, საყრდენი ლეო ლერინცი და უპირველესი მეგოლე მიხაილო პიანოვიჩი არ იახლა. „ცრვენას“ მესვეურებისთვის რომ გეკითხათ, ორივეს ტრავმა აწუხებსო, მაგრამ არც ასე ყოფილა საქმე. ისევ ჩვენი კოლეგებისგან შევიტყვეთ, ლერინციც და პიანოვიჩიც საღ-სალამათნი ყოფილან და „წითელ-თეთრთა“ თავკაცი სლავოლიუბ მუსლინი კიევის „დინამოსთან“ თამაშების წინ ამათ დატვირთვას ერიდებაო.

მაგრამ „ცრვენა“ ხომ ლერინცის და პიანოვიჩის გარეშეც „ცრვენაა“ და ვერაფრით დავიჯერებთ, რომ ქუთაისში მართლა საპკნიკოდ, გასასეირნებლად ჩამოვიდა. ჩვენი ვარაუდია, იუგთა მწვრთნელს ეგონა, „ტორპედო“ მის გუნდს საკუთარ მოედანზეც დამფრთხალი დაუხვდებოდა და სასურველ ტაქტიკასაც იოლად მოახვევდა. და თუ მართლა ასე ეგონა მუსლინს, ძალიანაც შემცდარა...

რაც მართალია, მასპინძლებმა შებოჭილად დაიწყეს თამაში. საწყის 15 წუთში „ცრვენა“ უფრო კარგად გაწვრთნილი ჩანდა. იუგები მოედნის ცენტრში დომინირებდნენ, იერიშზეც სწრაფად გადადიოდნენ. დრულიჩმა, ბოშკოვიჩმა, სტევანოვიჩმა დიდი სამუშაო გაუჩინეს „ტორპედოს“ დაცვას. ქუთაისელები ხშირად უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, პასი უჭირდათ. მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა.

მე-16 წუთი იყო, ახვლედიანმა მარჯვენა ფლანგზე გაჭრა მოახერხა, კარგადაც ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში და იქ „ცრვენას“ კაპიტანმა ბუნიევჩევიჩმა ამკარად წაჭრა ხელი ბურთს. ზანგმა ინგლისელმა არბიტრმა „ტორპედოსთვის“ პენალტი ვერ გაიმეტა. ჩვენები უფრო თამამად ათამაშდნენ. 26-ე წუთზე გუჩუამ ცენტრიდან კარგად გაჭრა იმედაძის მისამართით, ამან კი ოდნავ დააგვიანა, თორემ კოციჩთან პირისპირ დარჩებოდა. ორ წუთში იგივე განმეორდა. იმედაძემ ისევ დააგვიანა გუჩუას გადაცემაზე. 30-ე წუთზე „ტორპედოს“ ახალშემატებულმა გიალო ჩხაიძემ 20 მეტრიდან დაუმიზნა „ცრვენას“ კარს, ძლიერად დაარტყა, ჩარჩოშიც მოახვედრა, ოღონდ კოციჩმა იმარჯვა და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

33-ე წუთი. იუგთა პირველი სახიფათო შეტევა. გვოზდენოვიჩმა მარცხნიდან გაჭრა კარის წინ. ქუთაისელთა იღბლად, ბაიჩეტიჩმა დარტყმა ვერ მოასწრო. მერე ბოშკოვიჩს მიეცა შანსი, 15 მეტრიდან დაბალ კუთხეში დაურტყა ზოიძეს, მაგრამ ააცილა. წუთის მერე გორან დრულიჩმაც დაარტყა საჯარიმოს წინა ხაზიდან, ოღონდ სუსტად, ირაკლი ზოიძეს აღება არ გაჭირვებია.

იხილეთ მეორე გვერდი

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

საპასუხო მატჩები. 2 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

შამქირი (აზერბაიჯანი) 1:4 *სლავია (ჩეხეთი)* (0:1)
0:1 დოსტალეკი (36), 1:1 კვარაცხელია (51), 1:2, 1:3 დოშეკი (56, 60), 1:4 სვანკერლა (72)
ჟალგირისი (ლიტვა) 0:0 *რეინჯერსი (შოტლანდია)* (1:4)
ბატე (ბელარუსი) 0:3 *ჰელსინგბორგი (შვედეთი)* (0:0)
0:1 სანტოსი (11), 0:2 ანდერსონი (24), 0:3 ვალსტედტი (84)
ლევადია (ესტონეთი) 1:5 *შახტარი (უკრაინა)* (1:4)
0:1, 0:2 ვორობეი (26, 31), 1:2 ბრაგინი (48), 1:3 ვორობეი (80 პ), 1:4 ატელკინი (90), 1:5 ზუბოვი (90)
ჰაპოელი (თ.ა. ისრაელი) 1:2 *შტურმი (ავსტრია)* (0:3)
0:1 კორშოში (70), 1:1 ბალილი (80), 1:2 კოციანი (85)
ლევსკი (ბულგარეთი) 1:1 *ბეშიქთაში (თურქეთი)* (0:1)
0:1 ჰავუტპუ (34), 1:1 მარკოვი (64)
ანორთოსისი (კვიპროსი) 0:0 *ანდერლეხტი (ბელგია)* (2:4)
ინტერი (სლოვაკეთი) 1:0 დ.დ. (0:0) ჰაკა (ფინეთი) (0:0)
1:0 ნემეტი (107)
პოლონია (პოლონეთი) 3:1 დინამო (რუმინეთი) (4:3)
0:1 ტამესი (42), 1:1, 2:1 ოლიზაბედე (60, 62), 3:1 ბოლაშევსკი (66)
რეიკიავიკი (ისლანდია) 0:0 *ბრონდბიუ (დანია)* (1:3)
დუნაფერი (უნგრეთი) 2:2 ჰაიდუკი (ხორვატია) (2:0)
0:1 მ. ბილიჩი (9), 1:1 ზავადსკი (20), 1:2 მ. ბილიჩი (29), 2:2 დოკოლი (88)
რუსენბორგი (ნორვეგია) 1:1 შელბურნი (ირლანდია) (3:1)
0:1 ფორანი (58), 1:1 ბერგი (80)
მარიბორი (სლოვენია) 1:0 *ზიმბრუ (მოლდოვა)* (0:2)
1:0 ჩეპი (3)

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები — 8-9 აგვისტო, საპასუხო მატჩები — 22-23 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

დინამო (კიევი, უკრაინა) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
ჰერფიოლგე (დანია) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ინტერი (იტალია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)
შახტარი (უკრაინა) — სლავია (ჩეხეთი)
შტურმი (ავსტრია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — პორტუ (პორტუგალია)
ინტერი (სლოვაკეთი) — ლიონი (საფრანგეთი)
პოლონია (პოლონეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ბრონდბიუ (დანია) — ჰამბურგი (გერმანია)
დუნაფერი (უნგრეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ზიმბრუ (მოლდოვა) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი)
ტიროლი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
სენტ გალენი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)
მილანი (იტალია) — დინამო (ზაგრები, ხორვატია)

REUTERS იდგადან

ჰაპოელი — შტურმი 1:2. ებრაელი სალომ თოემა შტურმის კარში აცილებულ ბურთს დაუმწუხრებია

ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები. 2 აგვისტო

INTERTOTO CUP

ბლშანი (ჩეხეთი) 0:0 *სიგმა (ჩეხეთი)* (1:3)
სტანდარდი (ბელგია) 0:1 *შტუტგარტი (გერმანია)* (1:1)
0:1 დანდი (27)
ვოლფსბურგი (გერმანია) 1:2 დ.დ. (1:1) *ოსერი (საფრანგეთი)* (1:1)
0:1 კლოსი (27), 1:1 მარიჩი (50), 1:2 კისე (101)
ბრედფორდი (ინგლისი) 0:3 *ზენიტი (რუსეთი)* (0:1)
0:1 უგაროვი (68), 0:2 გოროვოი (75), 0:3 ტარასოვი (85)
ასტონ ვილა (ინგლისი) 1:2 *სელტა (ესპანეთი)* (0:1)
0:1 მაკარტი (11), 1:1 ბერი (45 პ), 1:2 მაკარტი (57)
უდინეზე (იტალია) 2:0 აუსტრია (ავსტრია) (1:0)
1:0 სოსა (9), 2:0 მუცი (35)

ინტერტოტოს თასი. ფინალი

პირველი მატჩები — 8 აგვისტო, საპასუხო მატჩები — 22 აგვისტო

INTERTOTO CUP

სიგმა (ჩეხეთი) — უდინეზე (იტალია)
სელტა (ესპანეთი) — ზენიტი (რუსეთი)
ოსერი (საფრანგეთი) — შტუტგარტი (გერმანია)
გამარჯვებულები უეფას თასის პირველ ეტაპზე ითამაშებენ

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

პირველი გოლის გამტანი თავდამსხმელი გია იმედაძე, მცველი სტევო გლოგოვაცი (№5) და მეკარე ალექსანდრ კოციჩი

ტორპედო

1. ზოიძე

4. ზ. არჩვაძე

3. მახვილაძე 24. ხვადაგიანი

21. ახვლედიანი 8. გ. ჩხაიძე

16. სიჭინავა 19. გუჩუა

2. იონანიძე

23. იმედაძე 9. დ. ჯანაშია

ცრვენა ზვეზდა

9. დრულიჩი

11. ბოშკოვიჩი

7. გვოზდენოვიჩი 26. ზორიჩი

8. ილიჩი 25. სტევანოვიჩი

21. ბაიჩეტიჩი

13. ვიტაკიჩი 5. გლოგოვაცი

6. ბუნიევჩევიჩი

1. კოციჩი

შეცვლა: ილიჩი — 8. მარკოვიჩი (44), იმედაძე — 10. მეგრელაძე (65), ახვლედიანი — 18. თურმანიძე (68), ბოშკოვიჩი — 14. გეორგიევსკი (72), იონანიძე — 22. ასათიანი (80), გვოზდენოვიჩი — 10. აჩიმოვიჩი (88)

გაფრთხილება: ზ. არჩვაძე (45), იმედაძე (58), ვიტაკიჩი (75)

მსაჯი: ური რენე (ინგლისი); უეფას დელეგატი: კარელ იუნეკი (ჩეხეთი)

ჯარიმა: 10-11; კუთხური: 1-3; თამაშგარე: 3-2; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 3-5

ვწუხვართ და გვიხარია

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი (პირველი მატჩი 0:4)
2 აგვისტო. 20 საათი. ქუთაისი. „ტორპედო“. 10 000 მაყურებელი

ტორპედო 2:0 ცრვენა ზვეზდა

1:0 იმედაძე (42), 2:0 ჯანაშია (90)

დასაწყისი პირველ გვერდზე

მე-40 წუთზე კი „ტორპედო“ აშკარა გოლს გადაურჩა. ივან გვოზდენოვიჩი მარცხენა ფლანგზე დაუსხლტა მცველებს და საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად გაგზავნა კარისკენ, ბურთმა შორეულ ძელს წაჰკრა.

„ტორპედოსთვის“ იღბლიანი 42-ე წუთი. ქუთაისელებმა მარჯვნიდან წამოიწყეს შეტევა, მერე უფრო ცენტრისკენ გადმოიტანეს, ბურთი ჯანაშიას მიუვიდა, დათოსაც ბევრი არ უფიქრია, ზუსტი პასით იმედაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და კოციჩიც უძლური აღმოჩნდა ტორპედოელის არცთუ ძლიერი, მაგრამ ზუსტი დარტყმის წინაშე. „ტორპედო“ დაწინაურებული წავიდა შესვენებაზე.

სტუმრები რომ მარცხს ვერ შეეგუებოდნენ, თქმაც არ უნდა. მეორე ნახევარი მათი უპირატესობით წარიმართა. დიდი ჯაფა დაადგათ მასპინძლებს. იყო მომენტები, „ტორპედო“ მთელი გუნდით იცავდა თავს (უფრო ხშირად ორგანიზებულად). იუგთაგან ყველაზე მოუსვენარი გორან დრულიჩი გახლდათ. ბელგრადში ქუთაისელთა კარის ორჯერ დამლაშქვრელი ახლაც ლამობდა გატანას და სამჯერ ახლოსაც იყო მიზანთან. 57-ე წუთზე მისი დარტყმული ზოიძემ თავგანწირული ნახტომით მოიგერია. ხუთ წუთში დრულიჩი მარცხენა ფლანგზე იოლად დაუსხლტა არჩვაძეს და კარშიაც სახიფათოდ დაარტყა — ისევ იმარჯვა ქუთაისელთა კარის დარაჯმა. ამ ეპიზოდიდან წუთში დრულიჩმა ერთხელაც შემოირტყა თავში ხელი, იუგმა ათიოდე მეტრიდან ხარიხას გაარტყა ბურთი. ეს მომენტი იყო და თამაშის ტემპმაც შედარებით იკლო. იუგები კვლავინდებურად კი უტევდნენ, მაგრამ მასპინძლებიც დიდი ძალებით იცავდნენ თავს, ბურთის დაჭერასაც ასე თუ ისე ახერხებდნენ და უკანასკნელ 25 წუთში ზოიძეს სამუშაო, ფაქტობრივად, არ მისცემია. სტუმრები დაიღალნენო, ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ მატჩის მიწურულს რომ აშკარად მოუკლეს თამაშს, ფაქტია. არბიტრის მიერ დამატებულ წუთში „ტორპედომ“ მეორედაც დასაჯა „წითელ-თეთრები“. მეორე ტაიმის შუაში დავით ყიფიანის მიერ უკანა მცველის პოსტიდან განთავისუფლებულმა და მარჯვენა მცველად გამწესებულმა არჩვაძემ ერთბაშად გამოასწორა მანამდე დაშვებული რამდენიმე შეცდომა, ზუსტი გრძელი პასი გააკეთა ჯანაშიას მისამართით, ეს უკანასკნელიც სხარტად დაუსხლტდა დაბნეულ მცველებს და საჯარიმოში შეაღწია თუ არა, უმალ დაარტყა. კოციჩის არასწორი რეაგირება და 2:0. „ტორპედომ“ „ცრვენა ზვეზდას“ მოუგო. ჩემპიონთა ლიგას კი გამოემშვიდობა.

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

დეიან ილიჩს (№8) გზას ვალტერ გუჩუა უღობავს

ფიდელიოს ლასყრა ოქმარ

სრდან ბაიჩეტიჩი (№21) და დავით ჯანაშია (№9)

მატჩის შემდეგ

სლავოლიუბ მუსლინი, „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი:

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა უნდა მოვახსენო „ტორპედოს“ მესვეურთ გულთბილი მასპინძლობისთვის და საპასუხო მატჩში გამარჯვება მივულოცო.

ჩემმა ფეხბურთელებმა ის თამაში ვერ აჩვენეს, რომელსაც ველოდი, თუმცა, ვფიქრობ, საერთო ჯამში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, უფრო ხშირად ვაკონტროლებდით ბურთს. გატანის შანსიც თავიდან ჩვენვე გვქონდა, მაგრამ ორი კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. პირველი გოლი ჩვენი მცველის უხეში შეცდომის შემდეგ, მეორე კი ბოლო წუთზე გავუშვით. ჩვენმა ფეხბურთელებმა, ეტყობა, თამაში დამთავრებულად ჩათვალეს. ალბათ, ამ დროს მომავალ მატჩებზე ფიქრობდნენ. ისე არ გამიგოთ, ამით „ტორპედოს“ გამარჯვებას ვაკნინებდე. „ტორპედომ“ მართლა კარგად, თანაც კორექტულად ითამაშა, გაცილებით უკეთ, ვიდრე ბელგრადში.

„ცრვენა ზვეზდა“ 12 თვის წინ ჩავიბარე. ჩემს ხელში ეს გუნდის მეორე მარცხია. ბუნებრივია, „ტორპედოსთან“ თამაშში დაშვებულ შეცდომებს გავაანალიზებთ და ჩვენს მომავალ მეტოქესთან, მოგეხსენებათ, ერთ კვირაში კიევის „დინამოს“ ვხვდებით, აღარ გავიმეორებთ. კიეველებთან ძალიან მძიმე ბრძოლები კი გველის, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ.

დავით ყიფიანი, „ტორპედოს“ მწვრთნელი:

— დასამალი არაფერია, კლასით, ოსტატობით „ცრვენა ზვეზდას“ ჩვენს გუნდზე უკეთესი მოთამაშეები ჰყავს. იუგოსლავიურ გუნდს საერთაშორისო თამაშების გამოცდილებაც გაცილებით მეტი აქვს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ბელგრადში „ტორპედოს“ ასეთი დიდი ანგარიშით წაგება. მაგრამ ერთია, ბრძოლაში წააგო და სულ სხვაა, მეტოქეს შეუშინდე, თავი განწირულად ჩათვალო. ვფიქრობ, ჩვენმა ფეხბურთელებმა ამ ფსიქოლოგიური პრესის გამო ვერ გამოავლინეს ბელგრადში თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები.

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ვწუხვართ, რომ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე ვერ გავედით. „ცრვენა ზვეზდასთან“ შედარებით ამის ნაკლები შანსიც გვქონდა, მაგრამ რაც დღეს შევძელით გვიხარია. „ტორპედოს“ ხომ თავის ისტორიაში ასეთი ძლიერი კლუბი აქამდე არ დაუმარცხებია. მომავალ თამაშებში „ცრვენა ზვეზდას“ წარმატებებს ვუსურვებ.

42 მილიონი ვიტ ჯორჯიას წინაპალმდეგ

Heidrich: Knaller-Comeback

Verletzter Kapitän traf gleich beim 1:1 gegen Tiflis

15 დღე გერმანიაში. ქალაქი ნიმბიუნბერგი, ტრაპენკამპის სპორტული ბაზა. საუცხოო პირობები, იდეალური კომფორტი და საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“.

ვეტერინარებმა 8 საკონტროლო მატჩი გამართეს სამივე ბუნდესლიგისა და ობერლიგის გუნდებთან. სამი მოგება, სამი წაგება და ორი ფრე. ბურთების შეფარდება 21:9-თან. ასეთია ვირტელთა გერმანეული მონავარი.

დღეს „ვიტ ჯორჯია“ მცხეთაში ემზადება და ისრაელის „ბეითარს“ მოელის. მანამდე კი კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე გერმანულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და ვეტერინართა უახლეს გეგმებზე გვესაუბრება.

— გერმანული შეკრება ეროვნული ჩემპიონატისა და უეფას თასის მატჩების მზადებისთვის ერთ-ერთი რიგითი ეტაპი იყო. გუნდმა მიიღო საუკეთესო გამოცდილება. ბუნდესლიგის კლუბებთან ჭიდილში ბიჭები გამოიწვრთნენ. თითქმის რეალობასთან მიახლოებული წარმოდგენა შევიქმენით ჩვენს ევროპულ ძალებზე. ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიერ წარმოებულმა ტესტ-სისტემამ ამის საშუალება მოგვცა. საბოლოოდ გერმანულ შეკრებას დადებითად ვაფასებთ.

— რვა სხვადასხვა დონისა და ყაიდის გუნდთან მოსინჯეთ ძალები. რა განსხვავებაა გერმანულ ლიგებს შორის? თუ შეიძლება, პარალელი გაავლეთ ეროვნულ ჩემპიონატსა და „ვიტ ჯორჯიასთან“.

— პირველ და მეორე ბუნდესლიგებს შორის, რა თქმა უნდა, სხვაობა შეინიშნება, მაგრამ არც ისე თვალში საცემი. ობერლიგის გუნდები ძირითადად არაპროფესიულია და ისინი ახლოსაც ვერ მივლენ პირველ-მეორე-მესამე ბუნდესლიგის გუნდებთან. „ვიტ ჯორჯიამ“ „ჰოჭენჰამელი“, „ზარაუ“ და „ჰაილიგენჰაფენი“, დიდი ანგარიშით დაამარცხა.

ჩვენი მეტოქეებიდან „ჰანზა“ თავისი კლასით ყველაზე მაღლა იდგა. აშკარა იყო ამათი პოტენცია.

იქაურ სპეციალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ „ვიტ ჯორჯია“ ღირსეულ ადგილს დაიჭერდა მეორე ბუნდესლიგაში. ეს გასახარი სულაც არ გახლავთ. საქართველოს ვიცე-ჩემპიონს პრიზიორს, ვინ უნდა იყოს, ჩვენი ტრადიციებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მეორე ლიგის დონესთან არ უნდა აიგივებდნენ.

დღეს ცხოვრებამ ასე მოიტანა და მჯერა, რომ ეს არ არის ჩვენი ზღვარი. გაცილებით მეტი შეგვიძლია და მივაღწევთ კიდეც.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, მგონია, რომ მეორე ბუნდესლიგის დონეზეც არ ვიმყოფებით. განსხვავება ჯერაც დიდია.

— „ვიტ ჯორჯიას“ ძალიან გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა. თამაშები თითქმის ყოველდღიურად გვიწევდათ. ეს გუნდზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

— არა მგონია, ამან ხელი შეგვიშალოს. გერმანიაში ორი შემადგენლობით ვიყავით და თამაში ყველა ეჭეხბურთელს უწევდა. შედარებით მეტი დატვირთვა მიიღეს უკანა ხაზის მოთამაშეებმა, მაგრამ გაუძლეს. ისინი ღირსეულად გამოიყურებოდნენ და დიდი გამოცდილებაც შეიძინეს.

— ბოლო დროს ქართული კლუბები ევროსარბიელზე თავს ვერაფრით მოიწონებენ. „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგს რისი იმედი უნდა ჰქონდეს?

— „სარბიელთან“ ერთ-ერთ საუბარში უკვე ავღნიშნე, რომ ჩვენი ღირსება ბევრს გვავალდებულებს. დაგეგმილი გვაქვს, გავიაროთ უეფას თასის პირველი ეტაპი. შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა და ვნახოთ. ერთს კი დავპირდები ქომაგებს — „ვიტ ჯორჯია“ იბრძოლებს ბოლომდე და ღირსეულად, სრული პასუხისმგებლობით და თავს არ შეირცხვენს.

— ბევრის აზრით, ქართული კლუბებიდან „ვიტ ჯორჯიას“ ყველაზე მეტად გაუმართლა. მეტოქე შედარებით სუსტი შეხვდაო.

— ვერ დავეთანხმები მათ და ვეცდები, „ბეითარის“ სისუსტეზე მითიც გავაქარწყლო. კლუბს უმდიდრესი სპონსორი და მეპატრონე ჰყავს. მწვრთნელად ისრაელის საუკეთესო სპეციალისტი ელი გუტმანი მიიწვიეს. გაძლიერდნენ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებით. თავად განსაჯეთ, იუგოსლავიური „პარტიზანიდან“ გადაიბირეს მაკედონიის ნაკრების ორი მოთამაშე — სტოიანოვსკი და სავიჩი, უნგრელები ჰყავთ — შანდორი და ჰამერი. შოტლანდიური „დანდიდან“ დაიბრუნეს ტელესნიკოვი. „ბეითარშია“ ჯოვანი როსუ, ასევე ისრაელის ნაკრების წევრები: მეკარე კორნფეინი, ნახევარმცველი აბუქისი, თავდამსხმელები: სივილა და მიზრახი. თელ ავივის „ჰაპოელიდან“ წაიყვანეს ნიჭიერი ფეხბურთელი პალკონი.

კლუბის ბიუჯეტი 42 მილიონი შეკილია (4 შეკილი 1 ამერიკული დოლარის ექვივალენტი გახლავთ). ამ თანხიდან 28 მილიონი უკვე ტრანსფერებზეა დახარჯული.

და ეს ჩვენ არ გვაშინებს. ბევრი რამ შევიტყვეთ „ბეითარის“ შესახებ. ჩვენს ხელთაა „ბეითარის“ ხუთი თამაშის ვიდეოფირი. ასევე სამი ვიდეოკასეტა ჰაიფას „ჰაპოელის“ თამაშების ამსახველი კადრებით. იმ კლუბისა, რომელსაც გასულ სეზონში ელი გუტმანი წვრთნიდა და ამჟამად „ბეითარის“ მთავარი ძალა ჯოვანი როსუ თამაშობდა.

ვიცით, რომ „ბეითარი“, უფრო სწორად, ელი გუტმანი 4-4-1-1 ტაქტიკური სქემის მიმდევარია და ასე შემდეგ.

ჩვენს მეტოქეს „ვიტ ჯორჯიაზეც“ საკმაო ინფორმაცია დაუგროვდა. მათი წარმომადგენელი გერმანიაში ჩვენს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა, ხოლო „ვიტ ჯორჯია“ — „ზანქტ პაულის“ დაპირისპირდებას თავად ელი გუტმანი დაესწრო. ასე რომ, წინ, საინტერესო ორთაბრძოლები გველის, მეტოქე ძალიან ძლიერია.

— როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ებრაელები თამაშის გადადებას გთხოვდნენ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ უარი განაცხადა.

— თავიდან ამაზე არაფერი თქმულა. წილისყრისას შევხვდი „ბეითარის“ პრეზიდენტს და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. მაშინ არავითარი გაუგებრობა არ ყოფილა. რამდენიმე დღის წინ კი გვთხოვეს, თამაში გადავდოთო. თუ ამაზე არ დაგვთანხმდებით, მაშინ თამაში ორი საათით გადავწიოთო.

როგორც გავარკვიეთ, 9 აგვისტოს მათი რელიგიური დღესასწაული იწყება და 10 აგვისტოს ათის ათ წუთზე მთავრდება. მატჩი კი რვა საათზეა დანიშნული. მათ ამ დროს ყველანაირი საქმიანობა ეკრძალებათ, ის კი არა, ჭამა და წყლის დალევაც კი.

ჩვენ უკვე გამზადებული გვაქვს მატჩის ბილეთები, სარეკლამო პლაკატები, „გლობალ სპორტნეტი“ ტრანსლაციისთვის ემზადება და ამდენი ხარჯის გაწევა კლუბს დააზარალებდა. მერე უეფა ცალკე პრობლემაა და ჩვენი ქომაგიც ხომ დიდად ანგარიშგასაწევია.

ბეითარელები თავისას არ იშლიდნენ. ვინ არ ჩარიეს საქმეში. ბოლოს ასეთი წინადადებით მივმართეთ, „ვიტ ჯორჯიას“ გაწეული ხარჯების კომპენსირებას თუ დათანხმდებოდნენ, მატჩს ორი საათით გვიან დავიწყებდით. როგორც კი ფულზე ჩამოვარდა საუბარი, მაშინვე გაჩუმდნენ, აღარ დაგვკავშირებიან.

— როდის ჩამოდის „ბეითარი“?

— ოფიციალური ცნობა მათგან არ მიგვიღია. ჩვენი ინფორმაციით კი „ბეითარი“ 8 აგვისტოს საღამოს ჩამოფრინდება და სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდება. ისინი თავის ხარჯით გვესტუმრებიან, ჩვენ მხოლოდ მეგზურობას გავუწევთ.

— 10 აგვისტომდე გუნდი როგორ მოემზადება?

— მცხეთაში ვივარჯიშებთ. დაგეგმილია ერთი საკონტროლო შეხვედრაც. თამაშამდე სამი დღით ადრე შეკრებაზე გადავალთ. ამ პერიოდში ფეხბურთელები ვიტამინებს მიიღებენ და გაძლიერებულ კვებაზე გადავლენ.

— „ვიტ ჯორჯია“ საბოლოოდ თუ დაკომპლექტდა?

— დიახ. კონტრაქტები ყველასთან ხელმოწერილია. უეფაში 25-კაციანი განაცხადს ხვალ გავაგზავნით. არ არის გამორიცხული, ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე მოთამაშე თსუ-ში გავანათხოვროთ. არ მინდა ახალგაზრდა, ნიჭიერ მოთამაშეებს სათამაშო პრაქტიკა მოაკლდეს. თუმც მანამდე ჯერაც გვარიანი დროა, ახლა მხოლოდ „ბეითართან“ დუელზე ვფიქრობთ.

მამუკა კვანტალიანი

„კოტბუსი“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:1. ვეტერინარი ლაშა ნოზაძე (№9) და გერმანელთა კაპიტანი შტეფან ჰაიდრიხი

ქეცბაიამ რობსონს თავი შეაცხენა



თემურ ქეცბაია

— **როცა** თემურ ქეცბაია საუკეთესო ფორმაშია, მეტოქის მცველებს ყოველთვის დიდი თავსატეხი უჩნდებათ — ირწმუნება ბრიტანული სააგენტო „ბიბი-სი“.

ცნობილია, რომ ბობი რობსონმა ქართველი ლეგიონერი წინასასეზონო ტურნეზე ძირითად გუნდთან ერთად არ იახლა და თემურს სარეზერვო გუნდთან მოუწია ვარჯიშმა.

„ბერუიკ რეინჯერსთან“ სტუმრად ჩატარებულ სპარინგ-მატჩში ქეცბაიამ გუნდის ლიდერის ფუნქცია იკისრა, მეტოქის კარი ორჯერ დალაშქრა და სხვაც ბევრი აღსანიშნავი მომენტი შექმნა, მოკლედ, მასპინძელთა დაცვასა და მეკარეს მოსვენების საშუალება არ მისცა.

მატჩის პირველივე წუთებიდან ქეცბაიამ და ნიგერიელმა შოლა ამეოვიმ იაქტიურეს. „რეინჯერსმა“ მხოლოდ 18 წუთი შეინახა კარი მშრალად, მერე კი ვერაფრს გახდა. პირველი ბურთი ნიგერიელმა გაიტანა, ეს კი ქართველის ზუსტი პასის შემდეგ მოხდა.

მომდევნო ორი გოლი უკვე ქეცბაიას ანგარიშზეა. თუმცა მან დუბლი არ იკმარა და ზუსტი პასები კიდევ არიგა. ერთ-ერთი ასეთი გადაცემა თემურს ჯეიმს კოპინგერმა დაუფასა და მატჩს წერტილი დაუსვა. მანაც ქართველის მსგავსად დუბლი შეასრულა.

საბოლოოდ 5:2 „ნიუკასლმა“ გაიმარჯვა.

ნიკა ზუგლაძე

დინამო სლოვანამდე

თბილისის „ლოკომოტივი“ კვლავ კოჯორშია და ინტენსიურად აგრძელებს მზადებას უეფას თასის მოახლოებული პირველი მატჩისთვის. მოგეხსენებათ, რკინიგზელები 10 აგვისტოს ბრატისლავაში „სლოვანს“ უნდა გაეჯიბრონ. იქამდე კი „ლოკომოტივმა“ ორი ამხანაგური მატჩიც გამართა და ორჯერვე, შინ და სტუმრად, ბოლნისის „სიონი“ დაამარცხა — 1:0, 3:1.

საქართველოს თასის მფლობელები სლოვაკეთს 7 აგვისტოს, მატჩამდე სამი დღით ადრე ჩარტერული რეისით გაფრინდებიან, წინადღეს კი ერთხელაც ითამაშებენ, როგორც მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, მათი მეტოქე თბილისის „დინამო“ იქნება.

გუნდში თითქმის ყველაფერი ძველებურადაა. ახალი ის არის, რომ რკინიგზელთა მცველი დავით ჭიჭვეიშვილი ორიოდ დღეა, ისრაელს გაემგზავრა და პირველი ლიგის ქფარ სავას „ჰაპოელში“ ვარჯიშობს. თუმც მისი ისრაელში დარჩენა გადაწყვეტილი არ არის.

კობა ინასარიძე

მოუმზადებელი მსაჯები საგამოცდოდ ემზადებიან

ნუგზარ ჯიბილაძის ფოტო

ისევ ერთად: ალექსის პონე და ანატოლი მილჩენკო

ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრიც დარჩა და მორიგი გამოცდების დრო დაუდგათ ქართველ მსაჯებს, რომლებიც სფფ-ს წყალობით მოუმზადებელნი ხვდებიან ეროვნულ ჩემპიონატს. გეხსომებათ, სფფ-მ ამას წინათ უმაღლესი ლიგის გუნდებს საწევრო თანხა რომ გაუზარდა. ფედერაციამ თითოეულ გუნდს ისიც მოსთხოვა, საწევრო 1800 ლარის გარდა 4000 კიდევ უნდა გაიღოთო. ამ ფულით მსაჯები უნდა მოვამზადოთო. 22 ათასი ლარი სფფ-ს მოთხოვნით გუნდებს 10 ივლისამდე უნდა გადაეხადათ. შემდეგ საწევროს სფფ-ს სალაროში შეტანის ვადამ ჩემპიონატის დაწყებამდე (19 აგვისტომდე) გადაიწია, ბუნებრივია, გუნდებმაც ბოლო დღემდე მოცდა ამჯობინეს და სფფ უფულოდ, მსაჯები კი შეკრების გარეშე დარჩნენ.

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცს ანატოლი მილჩენკოს და მის გაწვრთნილებს კი ნუგეშად ამასწინანდელი მოსკოვური ვოიაჟი დარჩათ. მოგეხსენებათ, 16-დან 22 ივლისამდე უეფამ რუსეთის დედაქალაქში თავისი მორიგი პროგრეს კურსები გამართა. სფფ-ს წარმომადგენლობით დელეგაციაში სხვებთან ერთად მსაჯებიც შევიდნენ. მილჩენკომ თან იახლა ლაშა სილაგავა, კახა მესხი და ზურაბ ანიშვილი. მსაჯებს თეორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობას მოსკოვში ძველი ნაცნობი ალექს პონე უტარებდა. პონე ამას წინათ თბილისშიც გახლდათ ქართველ შაოსნებთან სამუშაო ვიზიტით. მილჩენკოს თქმით, სამივე ქართველ მსაჯს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია პონეზე. მესხს, სილაგავას და ანიშვილსაც უკლებლივ ყველა კითხვისთვის და ეპიზოდის გარჩევისთვის წარმატებით გაურთმევია თავი.

რაც შეეხება გამოცდებს, იგი 14 აგვისტოს დაიწყება. ამ დღეს ქართველი მსაჯები ნორმატივებს ჩააბარებენ. მომდევნო დღეს კი მილჩენკო მათ თეორიულ ცოდნაში გამოცდის. 16 აგვისტოს კი მსაჯებს სფფ-ს ხელმძღვანელები შეხვდებიან და ახალი ჩემპიონატისაკენ გზას დაულოცავენ.

მილჩენკოს თქმით, თეორიული გამოცდების დროს მსაჯებს 35-საკითხიანი ბილეთები დაურიგდებათ და კითხვებზე პასუხის გასაცემად 10 წუთი მიეცემათ. წარჩინებული 10 საუკეთესო არბიტი XII ეროვნულ ჩემპიონატში გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებს.

პაატა ძვანტალიანი

სიონი ტყიბულში

ოცნება აუსრულდათ ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს. როგორც იქნა, გუნდს გამოუჩნდა იმის საშუალება, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გაიაროს. „სიონს“ კვლავაც ბოლნისის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ უშველა, სწორედ მან გაიღო შეკრებისთვის აუცილებელი ხარჯები, გარდა ამისა, გამგებელმა ფეხბურთელებს ხელფასები დაურიგა და სამომავლოდაც გუნდს თანადგომას დაჰპირდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ „სიონი“ ჩინებული განწყობით გაემგზავრა გუშინ ტყიბულში. სწორედ იქ მოემზადებიან ბოლნისელები 19 აგვისტომდე. მერე კი ჩემპიონატიც იწყება და ისინი ტყიბულიდანვე ჩავლენ ქუთაისში, სადაც პირველი ტურის შეხვედრაში „ტორპედოს“ დაუპირისპირდებიან.

ქვემოქართლელები გაძლიერებული შემადგენლობით გაემგზავრნენ ტყიბულში. უკვე „სიონელები“ არიან ასპინძელაშვილი, ბარნოვი, წივწივაძე და გამცემლიძე. ამ ფეხბურთელების გადაბირების ხარჯებიც ზურაბ ჯაფარიძემ გაიღო. ტყიბულში „სიონი“ რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავს პირველი ლიგის გუნდებთან. მერე კი ჩემპიონატიც დაიწყება და იქ გამოჩნდება „სიონის“ ძალა. თავს არ შევირცხვენთო, ირწმუნება სპარტაკ არჩვაძე, აქვს კიდეც ოპტიმიზმის საფუძველი. „სიონმა“ ბევრი გუნდისგან განსხვავებით, თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა შემადგენლობის ძირითადი ბირთვი. გუნდი მხოლოდ „ბათუმში“ წასულმა ბესიკ შენგელიამ დატოვა. „დინამოსთან“ ერთად ემზადება დღეისთვის კახა გოგოლაძე, მაგრამ არჩვაძის თქმით, მას „სიონში“ მოუწევს თამაში, რადგან კლუბთან კონტრაქტი ჯერაც არ დასრულებია.

პაატა ძვანტალიანი

უვარჯიშოდ ინგლისში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები აგვისტოს ბოლოს ინგლისს ესტუმრება და პრემიერლიგის რჩეულ თანატოლებს გაეჯიბრება. 29 აგვისტომდე ჯერაც დიდი დროა და ჩვენი გუნდის თავკაცებს თითქოს საფიქრალსანერვიულოც არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ...

უკვე გადაწყვეტილი ამბავია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ინგლისს მოუმზადებელი და შეკრებაგაუვლელი ეწვევა.

ქართველი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები 28 აგვისტოს მოიყრიან თავს (სასურველია თბილისში) და ჰაიდა, ალბიონისკენ.

ალბათ 30 აგვისტოს ერთხელ ერთსაათიან წვრთნას მოვასწრებთო, გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ. მანვე დაამატა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ფორმაში იქნებიან ნაკრებში გამომახებული მოთამაშეები. ხურცილავა მაინც იმედიანადაა და ამბობს, ის 18 ფეხბურთელი, რომელიც ალბიონს ესტუმრება, თავს არ შეირცხვენსო.

ვარაუდი ან გამართლდება, ანაც... ისე, უპრიანი იქნებოდა, მწვრთნელ-მოთამაშეებს ორი დღე მაინც ჰქონოდათ მოსამზადებლად. ინგლისი აზერბაიჯანი არავის ეგონოს და თუ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ინგლისთან არწაგება მოახერხა, მაშინ გმირები ყოფილან და მათი იმედი უნდა გვქონდეს. ედერაცია კი რას ფიქრობს ჩვენთვის და კიდევ ბევრისთვის გაუგებარია.

დათო დანელია

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), გოგიაშვილი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0
	დინამო *რევაზ არველაძე*	ხიზანიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (ბაკაბი, თა, ისრაელ), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), ხუციშვილი, მინაშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, ტყეებუჩავა, ჩივაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, ლოკომოტივი 1:0, შუქურა 2:0
	ბათუმი *ჯანი კარნევალი*	მ. მბარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მეფავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ე. გვასალია (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, გურია 3:0
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), გ. კილასონია, ვ. კილასონია (გორდა)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), ჩიბრაძე (ჰ.ბეთი შანი, ისრაელი)*, კაციაშვილი (მეტალურგი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე (სიონი), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭეიშვილი (ჰ.ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, რ. ონიანი (?)	გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, დინამო 0:1, სიონი 1:0, 3:1
	თსუ *თენგიზ კაციია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ხართიშვილი (?)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა), სტურუა (სამგურალი)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (მერანი), ბურნაძე (ლოკომოტივი), ბუკია (თსუ), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

პატარა კინი

„ინტერის“ შეტევის ხაზი: რობი კინი და კრისტიან ვიერი

დიდი კინი როია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი და პრემიერლიგაში უდიდესი გასამრჯელოს პატრონი, რობი კი ჯერ 20 წლისაა, თუმცა „ინტერში“ სენსაციური გადასვლის შემდეგ სახელოვან თანამემამულესა და მოგვარეზე არანაკლები მოეთხოვება.

„ამისთვის მზად ვარ — განაცხადა რობიმ გუშინ, პირველ მილანურ პრესკონფერენციაზე — არც ახალ გუნდში ვარსკვლავთა სიმრავლე მაშინებს, არც 80 ათასი კაცის თვალწინ თამაში და არც უცხო ენა. 16 წლის ვიყავი, დუბლინიდან ვულვერჰემპტონში რომ წამოვედი და მას შემდეგ ჩემ ცხოვრებას თავად განვაგებ“.

დიდი ქალაქი და დიდი გუნდია — ამბობს რობი მილანსა და „ინტერზე“, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ ირლანდიელი აქაც არ დაიკარგება — დუბლინის გარეუბან თალაში დაბადებული 9 თვისა იყო, ფეხი რომ აიდგა, წლინახევრისა კი ბურთს ორივე ფეხით ურტყამდა.

ლაიამ ბრეიდის მერე სერია A-ს მეორე ირლანდიელმა იცის, რომ ბევრმა ბრიტანელმა იტალიაში ფეხი ვერ მოიკიდა, თუნდაც იმავე იან რაშმა, კინის იდეალი რომ ყოფილა. „მაგრამ ისეთიც მრავლად იყვნენ, აქაურ ფეხბურთს ალღო იოლად რომ აუღეს და თავისი სახელი დატოვეს. იმედი მაქვს, სწორედ ამ მეორე გუნდის წევრი გავხდები“ — თქვა პინეტინას სავარჯიშო ბანაკში მისვლისთანავე.

ფერგიუსონზე რას იტყვითო, ჰკითხეს. ვითომ სად რობი კინი თავისი „ქოვენთრით“ და სად სერ ალექსი. საქმე ისაა, რომ მანჩესტერელ ბოსს ერთ დროს თავად სურდა თინეიჯერი ფორვარდის გადაბირება, მაგრამ ფასი, 6 მილიონი გირვანქა რომ გაიგო, თქვა — მაგ ბიჭის ფასი ნახევარი მილიონია, ადგილი კი სათადარიგო გუნდშიო.

„სერ ალექსზე ცუდს ვერაფერს ვიტყვით. ის მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია... მისტერ ლიპის შემდეგ“ — იყო პასუხი.

მეგობარ გოგონაზეც დაეკითხნენ მილანელები, მაგრამ: „ჩემს გულში ჯერჯერობით ქალი არ ზის. ამჟამად „ინტერზე“ ვარ დანიშნული“.

პრესკონფერენციას კლუბის დირექტორი, კინის მილანში ჩამყვანი გაბრიელე ორიალი ესწრებოდა: „ჩათვალეთ, რომ რობი დიდი ინვესტიციაა, თუმცა ამის შედეგები დღესვე უნდა გამოჩნდეს“.

... ბიჭი დუბლინის გარეუბნიდან. თამამი ბიჭი („ქოვენთრიშიც“ ძნელი იყო, ასე რომ, „ინტერში“ არაფრის მეშინიაო), კვირაში 40 ათასი გირვანქა ხელფასით და „ინტერთან“ ხუთწლიანი კონტრაქტით. პატარა ბიჭი დიდ ქალაქში და მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში. პატარა კინი, დიდისგან დიდად განსხვავებული. რონალდოს, ვიერისა და ბაჯოს თანაგუნდელი. მარჩელო ლიპის რჩეული...

ვნახოთ, ვნახოთ...

გიგა კოგანიძე

ფეხბურთის ჩუქურთმები

პორტუგალიელი ფორვარდი რიკარდუ სა პინტუ სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მას სურს, კარიერა ლისაბონის „სპორტინგში“ გააგრძელოს. პორტუგალიის ჩემპიონთა მმართველმა განაცხადა, რომ „რეალ სოსიედადის“ ხელმძღვანელობას უკვე მოელაპარაკა და ფეხბურთელს, ალბათ, მალე ჩაიყვანს ლისაბონში. სა პინტუმ ბასკურ კლუბში სამი სეზონი გაატარა. წინასწარი ინფორმაციით, „სპორტინგი“ თავის ყოფილ მოთამაშეს 2,29 მილიონ დოლარად ყიდულობს.

ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო მადრიდის „ატლეტიკომ“ ერთი წლით „ვასკუ და გამაში“ გაანათხოვრა. გავრცელდა ხმები, თითქოს ფეხბურთელს 6 მილიონ გირვანქად „მიდლსბრო“ ყიდულობდა. მაგრამ ტრანსფერი არ განხორციელდა. „ბოლო წლები ჩემთვის მართლაც რთული გამოდგა, ახლა სამშობლოში დავბრუნდები და ერთი წელიწადი იქ ვითამაშებ. კონტრაქტში გათვალისწინებულია, რომ „ვასკუში“ შეიძლება 2003 წლამდე დავრჩე“ — განაცხადა ჟუნინიომ. იგი „ატლეტიკოში“ 1997 წლიდანაა. მადრიდელებმა „მიდლსბროსგან“ 19,78 მილიონ დოლარად შეიძინეს. შემდეგ ბრაზილიელი დამავდა და კარგა ხანს ვერ ითამაშა.

რუსმა ნახევარმცველმა იგორ ტიტოვმა ვარჯიშზე მუხლი იტკინა და სულ მცირე ერთ თვეს ვეღარ ითამაშებს. „ფეხბურთელს მალე სამკურნალოდ გერმანიაში გავგზავნით“ — განაცხადა „სპარტაკის“ ექიმმა იური კალესნიკოვმა — ვიმედოვნებთ, რომ იგი ერთ თვეში ვარჯიშის განახლებას შეძლებს“. 24 წლის ტიტოვმა ჩემპიონატის 19 მატჩში 10 გოლი გაიტანა და „სპარტაკის“ საუკეთესო ბომბადირია, მას რამდენიმე ევროპულ კლუბში იწვევენ.

შვედი მეკარე მატიას ასპერი, ალბათ, სტოკჰოლმის აიკ-იდან „რეალ სოსიედადში“ გადავა, ბასკური კლუბი კი მის სანაცვლოდ 2 მილიონ დოლარს გადაიხდის. „ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი, ეხლა მადრიდის „რეალთან“, „ბარსელონასა“ და „ვალენსიასთან“ მომიწევს პაექრობა“ — განაცხადა გოლკიპერმა.

ინგლისურმა „დერბი ქაუნთიმ“ „ლანსის“ მცველი იულ მაგენე 751 ათას დოლარად შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დერბის“ თავკაცმა ჯიმ სმითმა ფრანგს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. „იული ძალიან ნიჭიერია, მას ძალუძს, თავი გამოიჩინოს, არ გამოვრიცხავ, სასტარტო შემადგენლობაში სეზონის დასაწყისიდანვე ითამაშოს“ — განაცხადა სმითმა.

გულგარელი მცველი რადოსტინ კოშიშევი ამიერიდან „ჩარლტონში“ ითამაშებს. პრემიერლიგის ახალწვეულმა ფეხბურთელი „ლოვენჩიდან“ იყიდა. საწყისი ფასი 450 ათასი დოლარია, ხოლო თუ ფეხბურთელი თავს გამოიჩენს, ინგლისელები ამ თანხას დაახლოებით 2 მილიონ დოლარს დაუმატებენ. კოშიშევს სულ ახლახან 26 წელი შეუსრულდა, მას თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 30 შეხვედრა ჩაუტარებია.

ბრაზილიელი კატანია, შესაძლოა „სელტაში“ ჩაირიცხოს. შეგახსენებთ, რომ მისი ტრანსფერი „მალაგადან“ „დეპორტივოში“ ცოტა ხნის წინ ჩაშალა. „სელტა“ თანახმაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „პირობები თითქმის შეთანხმებულია, მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაა საჭირო“ — განაცხადა „სელტას“ პრეზიდენტმა ორასიო გომესმა.

ინგლისის პირველდივიზიონელ „კრისტალ პალასის“ თავკაცმა სტივ კოპელმა თანამდებობა დატოვა, კლუბის ახალ თავმჯდომარესთან, საიმონ ჯორდანთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. „კოპელი გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელია, მომავალ სამწვრთნელო კარიერაში წარმატებებს ვუსურვებ“ — თქვა ჯორდანმა. კოპელმა კი, რომელიც ადრე ინგლისის ნაკრების წევრი გახლდათ, განაცხადა: „ვგონებ, საუკეთესო გადაწყვეტილებაა, თუ კლუბს დავტოვებ და საიმონ ჯორდანი ახალ ხელმძღვანელს მიიწვევს“ — ჯორდანი „კრისტალ პალასის“ თავმჯდომარედ წინა თვეში დაინიშნა.

გოსნიური ტრანზიტი: სტამბოლი — მადრიდი — სტამბოლი

ერთი წლის წინ თურქული „ფენერბაჰჩედან“ მადრიდის „რეალში“ გადაბარგებულმა უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ბოსნიელი ფორვარდი ელვირ ბალიჩი თან წაიყვანა. დიდად სასარგებლო ფეხბურთელიაო, უთქვამს მაშინ ტოშაკს ლორენსო სანსისთვის და ბალიჩში 15 მილიონი დოლარი გადაუხდევინებია.

ლორენსო სანსმა ჯონ ტოშაკი მალევე მოიცილა, თავად სანსი კი ფლორენტინო პერესმა იმსხვერპლა. ჯერი ელვირ ბალიჩზე მიდგა.

ვისენტე დელ ბოსკემ კლუბის პრეზიდენტს განუცხადა, რომ ბოსნიელი არათუ სასტარტო შემადგენლობაში, სათადარიგოთა შორისაც არ სჭირდება. შესაბამისად პერესი ბალიჩისთვის ახალი კლუბის ძებნას შეუდგა და თურქეთში იპოვა. სტამბოლის „ფენერბაჰჩე“ მზადაა, თავისი ყოფილი ფეხბურთელი უკან დაიბრუნოს, ოღონდ იჯარით. ბალიჩი სტამბოლში ერთი სეზონით დარჩება. გარიგების ღირებულება კი უცნობია.

სტივ მაკმანამანისა და იკერ კასილიასის მსგავსად, თურქული კლუბით მის დაინტერესებას ელვირ ბალიჩი უხალისოდ შეხვდა, მადრიდიდან წასვლის სურვილი არ მაქვსო, თქვა. მაგრამ მაკმანამანისა და კასილიასისგან განსხვავებით, ბოსნიელის ბედი უკვე გადაწყვეტილია და ფლორენტინო პერესს ფეხბურთელის აზრი ნაკლებად აინტერესებს.

გიორგი დარჯანია

სატრანსფერო სეზონის დასურვამდე

არგენტინაში უცხოელი სელექციონერების ჩასვლას იქაური ქომაგები სიხარულით არ ეგებებიან. გული უგრძნობთ, რომ ისინი მათ ქვეყანას ადგილობრივი ვარსკვლავების გადასაბირებლად სტუმრობენ. და თუ მავანი უცხოელი, ევროპული ფეხბურთის გრანდი „ბარსელონას“ დირექტორია, საქმე რომელიმე სუპერვარსკვლავს უნდა ეხებოდეს.

კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ხუან გასპარმა თავისი წარმომადგენელი ოკეანის გაღმა ხავიერ სავიოლას და პაბლო აიმარის წამოსაყვანად გაგზავნა. ეს ორი რივერ პლეიტელი ფეხბურთელი სამხრეთ ამერიკაში საუკეთესო შემტევ წყვილად ითვლება. ხოლო ხავიერ სავიოლას დარი ფეხბურთელი არგენტინის ჩემპიონატში არ თამაშობს, ახალგაზრდა ფორვარდმა წინა სეზონში მარტინ პალერმოც კი დაჩრდილა.

ხავიერ სავიოლა (მარცხნივ), შესაძლოა „ბარსაში“ აღმოჩნდეს

„რივერ პლეიტსა“ და „ბარსელონას“ შორის მოლაპარაკებები გრძელდება. არგენტინელები თავიანთ ვარსკვლავებში 56 მილიონ დოლარს ითხოვენ და ფასის ოდნავ დაკლებაზეც უარს ამბობენ. საინტერესოა, რომ ხუან გასპარი ადრე ამბობდა, რაც ფიგუში ავიღეთ (56,1 მილიონი), ახალი ფეხბურთელების შესაძენად იმაზე მეტის დახარჯვას არ ვაპირებო. ახლა კი, როგორც ჩანს, გადაუფიქრებია, რადგან ფიგუს ფულით ხერარდი, პეტი და ოვერმარსი შეიძინა.

იმავდროულად, კატალონიელთა მეორე წარმომადგენელი ბუდევინ ზენდენის საქმით არის დაკავებული. ჰოლანდიელის რომის „ლაციოში“ თითქმის დასრულებული ტრანსფერი ბოლო წამს ჩაშალა. ახლა ზენდენით „ფიორენტინა“ და „ტოტენჰემ ჰოტსპური“ დაინტერესებულან. ლონდონელთა პრეზიდერტ ჯორჯ გრემს უთქვამს, ზენდენით აღფრთოვანებული ვარო. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა“ „ასტონ ვილას“ დავიდ ჟინოლა მიყიდა და მის შემცვლელს ეძებს.

მადრიდის „რეალს“ კი მალე ახალი ფეხბურთელი შეემატება. დედაქალაქელებს „სელტადან“ ფრანგი კლოდ მიკელელეს წაყვანა სურთ. მხარეები უკვე შეთანხმებულან და კონტრაქტის ხელმოწერას წინ არაფერი უდგას. ამასვე ადასტურებს ვიგოელთა პრეზიდენტი ორასიო გომესი. 27 წლის ფრანგის ხუთწლიანი კონტრაქტი „რეალს“ დაახლოებით 15 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ხოსე ლუის ჩილავერტი — მეგოლე მეკარე

ჩილავერტის ორმოცდამეათე

სამხრეთ ამერიკაში სამშაბათს მერკოსურის თასის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. ერთ-ერთში ორი არგენტინული კლუბი — „რივერ პლეიტი“ და „ველეს სარსფილდი“ შეხვდნენ.

ეს მატჩი კი ჩვენი ყურადღების ღირსი ერთი მიზეზის გამო გახდა — ორივე გუნდის მეკარეებმა — ხოსე ლუის ჩილავერტმა და რობერტო ბონანომ თითო გოლი მიითვალეს.

ჩილავერტის გატანილი გოლი მის კარიერაში ორმოცდამეათე აღმოჩნდა. დაგვეთანხმებით, ამგვარი შედეგიანობით ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის. თან აღსანიშნავია, რომ პარაგვაელს პენალტების გარდა საჯარიმო დარტყმებითაც არაერთი გოლი გაუტანია, საიუბილეო კი თერთმეტმეტრიანით შეაგდო.

რობერტო ბონანოსთვის ეს პირველი გოლია. როცა „ველესის“ კარში პენალტი დაინიშნა, მეკარემ თავის მწვრთნელ ამერიგო გალიეგოს საბრალო თვალებით გადახედა, ჩილავერტი თუ ურტყამს, ერთხელ მეც დამარტყმევინეთო. გალიეგომ თავი დაუქნია და ბონანომაც გაიტანა. ეს გოლი მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა — „რივერმა“ 2:1 მოიგო.

მილანმა საუკუნე წააგო

ანდრეი შევჩენკო და ალბერტ სელადესი

მილანი 1:5 რეალი

0:1 გუტი (45), 0:2 მორიენტესი (52), 0:3 გუტი (62), 0:4 ეტოო (75), 1:4 შევჩენკო (80 პ.), 1:5 რივერა (82)

მილანი: აბიატი (დიდა 46), როკუ უუნიორი, კოსტაკურტა (აიალა 60), მალდინი (სალა 46), გული (ბრნჩიჩი 60), გატუზო, ალბერტინი (დე აშენტისი 46), ლეონარდო (კომანდინი 46), სერფინიო (კოკო 70), ხოსე მარი, შევჩენკო

რეალი: სესარი (ბიზარი 73), ჯერემი, ივან კამპო (სესარ გონსალესი 73), ფულიო სეზარი, კარანკა, სოლარი (სოუზა 80), ფულიო ალვარესი (ეტოო 62), სელადესი (კორონა 84), გუტი, სავიო (რივერა 73), მორიენტესი (ტოტე 54)

„მილანი" — „რეალის" შეხვედრა იტალიური გრანდის საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა და მასპინძლებმა გამარჯვებულისთვის თასიც დააწესეს. თუმცა გუნდების შემადგენლობებს და შეცვლების რაოდენობას თუ გადავავლებთ თვალს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს — თამაში უფრო ამხანაგური გახლდათ.

ამხანაგურია, ვთქვით, მაგრამ შედეგის მიხედვით „სან სიროზე" გამართულ მატჩს ამხანაგობისა არაფერი ეტყობოდა. მადრიდელებმა მასპინძლები პირწმინდად გაანადგურეს. ხოსე მარია. გუტიერესის ორ და ფერნანდო მორიენტესის, სამუელ ეტოოსა და ალბერტო რივერას თითო-თითო გოლს მილანელებმა მხოლოდ ანდრეი შევჩენკოს პენალტით უპასუხეს.

შემადგენლობებს ერთხელაც გადავხედოთ. „მილანმა" მოედანზე, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი მოთამაშე გაიყვანა, „რეალს" კი ევროპის ჩემპიონატ მოვლილი ფეხბურთელები აკლდა — ფერნანდო იერო, მიჩელ სალგადო, რაული, იკერ კასილიასი, პედრო მუნიტისი და ლუიშ ფიგუ.

აღსანიშნავია ერთი უცნაურობაც. ახლახან ვწერდით, რომ მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს უსარგებლო ფეხბურთელების სია წარუდგინა, რომელთა გაყიდვასაც „რეალი" უახლოეს მომავალში აპირებს. ესენი არიან: ელვირ ბალიჩი, მანუელ კანაბალი, ედვინ არტურო კონგო, ხავიერ დორადო, სამუელ ეტოო, პერიცა ოგნიენოვიჩი, ალბერტო რივერა, როდრიგო, ალბანო ბიზარი, ჯერემი და ტოტე. იმის გათვალისწინებით, რომ „სან სიროზე" „შავ სიაში" მოხვედრილთაგან ბიზარიმ, ჯერემიმ, ეტოომ, რივერამ და ტოტემ ითამაშეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დელ ბოსკეს მათი გაყიდვა გადაუფიქრებია.

ბოლოს კი დავამატოთ, რომ ლუიშ ფიგუს დებიუტი გადაიდო. ის შესაძლოა მინდორზე 4 აგვისტოს გამოჩნდეს, როცა მადრიდის „რეალი" მიუნხენში „ბაიერნის" საუკუნოვან იუბილესადმი მიძღვნილ ოთხთა ტურნირზე „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება. ფიგუს მსგავსად, მოედანზე არ გასულა ფერნანდო რედონდო. ის თამაშს „მილანის" სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

გიორგი დარჯანია

რეალის და მილანის ყველა მატჩი

4.05.1949	მადრიდი	რეალი 1:0 მილანი	ამხანაგური მატჩი
19.04.1956	მადრიდი	რეალი 4:2 მილანი	ჩემპიონთა თასი 1/2 ფინალი
1.05.1956	მილანი	მილანი 2:1 რეალი	ჩემპიონთა თასი 1/2 ფინალი
20.06.1957	მადრიდი	რეალი 5:1 მილანი	ლათინთა თასი
28.05.1958	ბრიუსელი	რეალი 3:2 მილანი	ჩემპიონთა თასი. ფინალი
29.08.1959	კადისი	რეალი 6:3 მილანი	კარანსას თასი
29.01.1964	მადრიდი	რეალი 4:1 მილანი	ჩემპიონთა თასი 1/4 ფინალი
13.02.1964	მილანი	მილანი 2:0 რეალი	ჩემპიონთა თასი 1/4 ფინალი
29.08.1970	კადისი	რეალი 2:2 მილანი	კარანსას თასი
02.09.1979	მადრიდი	რეალი 2:0 მილანი	ბერნაბეუს თასი
13.11.1983	მილანი	მილანი 3:1 რეალი	ამხანაგური მატჩი
21.05.1988	მილანი	მილანი 2:1 რეალი	სკუდეტოს მოგების აღსანიშნავი მატჩი
1.09.1988	მადრიდი	რეალი 0:3 მილანი	ბერნაბეუს თასი
5.04.1989	მადრიდი	რეალი 1:1 მილანი	ჩემპიონთა თასი 1/2 ფინალი
19.04.1989	მილანი	მილანი 5:0 რეალი	ჩემპიონთა თასი 1/2 ფინალი
18.10.1989	მილანი	მილანი 2:0 რეალი	ჩემპიონთა თასი 1/8 ფინალი
1.11.1989	მადრიდი	რეალი 1:0 მილანი	ჩემპიონთა თასი 1/8 ფინალი
1.05.1990	მადრიდი	რეალი 2:1 მილანი	კამაჩოს ბენეფისი
29.08.1990	მადრიდი	რეალი 1:3 მილანი	ბერნაბეუს თასი
17.08.1993	მილანი	მილანი 3:2 რეალი	ბერლუსკონის თასი
24.08.1999	მადრიდი	რეალი 4:2 მილანი	ბერნაბეუს თასი
1.08.2000	მილანი	მილანი 1:5 რეალი	მილანის საუკუნის თასი

დაბრუნება ნაკრებში



ანტონიო ოლივეირა

სრული სახელი ანტონიო ლუიშ ალვეშ რიბეირუ ოლივეირა

დაიბადა 1952 წლის 10 ივნისს ჰენაფიელში (პორტუგალია)

1966 დაიწყო „პორტუში" თამაში, სადაც გაატარა 14 წელი, ხოლო ამის შემდეგ გადავიდა „რეალ ბეტისში". ავრეთვე უთამაშია „ჰენაფიელში" და ლისაბონის „სპორტინგში".

1980 დაიწყო მოთამაშე-მწვრთნელობა „ჰენაფიელში".

1982 გადავიდა ლისაბონის „სპორტინგში" მოთამაშე-მწვრთნელად.

1984 დაასრულა სათამაშო კარიერა. ნაკრებში ჩაატარა 24 შეხვედრა.

1985 დაინიშნა „მარიტიმუს" მწვრთნელად.

1987 დაინიშნა „ვიტორია გიმარაეშის" მთავარ მწვრთნელად.

1988 გადაბარგდა „აკადემიკაში".

1991 დაინიშნა „ჟილ ვისენტეს" მთავარ მწვრთნელად.

1992 დაინიშნა „ბრაგას" თავკაცად.

1994 ჩაიბარა პორტუგალიის ეროვნული ნაკრები.

1996 გადადგა პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ევრო 96-ის მეოთხედფინალში ჩეხეთთან წააგო. იმავე წელს დაინიშნა „პორტუს" მთავარ მწვრთნელად.

1997 მოაგებინა „პორტუს" პორტუგალიის ჩემპიონატი.

1998 მოიგო პორტუგალიური დუბლი. გახდა ქვეყნის ჩემპიონი და მოიპოვა თასი.

1998 ცოტა ხნით უთავკაცა „რეალ ბეტისს".

2000 წლის 1 აგვისტო. კვლავ დაბრუნდა პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. თანამდებობაზე შეცვალა უმბერტუ კოელიუ.

პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უმბერტო კოელიუ ანტონიო ოლივეირამ შეცვალა. ახალი თავკაცი გუნდს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოამზადებს. კოელიუმ თანამდებობა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვა, მას მერე, რაც პორტუგალიელები მომავალ ევროპის ჩემპიონ ფრანგებთან დრამატულ ნახევარფინალში დამარცხდნენ.

ახალი მწვრთნელი ოლივეირა ნაკრებს ადრეც ხელმძღვანელობდა. მან პოსტი 1994 წელს ჩაიბარა და 1996 წელს გადადგა. კოელიუს მსგავსად, ისიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ წავიდა ეროვნული გუნდიდან, როცა ინგლისში ევრო 96-ზე პორტუგალიამ ჩეხეთთან მეოთხედფინალში წააგო.

ნაკრებიდან წასვლისთანავე ანტონიო ოლივეირა „პორტუს" ჩაუდგა სათავეში და ერთ წელიწადში კლუბს ჩემპიონობა მოაპოვებინა. მომდევნო სეზონში, ანუ 1998 წელს, მწვრთნელმა პორტუულ კლუბთან უფრო დიდ წარმატებას მიაღწია — ამჯერად ქვეყნის ჩემპიონობა და თასი ერთდროულად მოიგო.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიური პრესა მოელოდა მწვრთნელად ოლივეირას დანიშვნას. მას შემდეგ, რაც ნაკრები კოელიუმ დატოვა, ყველაზე რეალურ კანდიდატად იგი ითვლებოდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამაც ეს გადაწყვეტილება 1 აგვისტოს მიიღო.

ოლივეირა წარსულში ფეხბურთელი გახლდათ. სათამაშო კარიერა „პორტუში" დაიწყო, სადაც 14 წელიწადი დაჰყო, იქიდან კი სევილიის „რეალ ბეტისს" მიაშურა. მას „ჰენაფიელსა" და ლისაბონის „სპორტინგშიც" უთამაშია.

1980 წლიდან ოლივეირამ მოთამაშე მწვრთნელის კარიერა არჩია და მშობლიური ქალაქის კლუბ „ჰენაფიელში" დაიწყო მოღვაწეობა. ორი წლის შემდეგ კი იმავე სტატუსით „სპორტინგში" გადავიდა. ანტონიომ სანაკრებო კარიერა 1984 წელს დაასრულა და სულ ეროვნულ გუნდში 24 შეხვედრა ჩაატარა.

სპეციალისტს ბევრი პორტუგალიური კლუბი გაუწვრთნია — 1985-დან 1992 წლამდე მან „მარიტიმუში", „ვიტორია გიმარაეშში", „აკადემიკაში", „ჟილ ვისენტესა" და „ბრაგაში" იღვაწა.

მწვრთნელის მომავალ საქმიანობაზეც ვთქვათ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პორტუგალიის ნაკრები მეორე ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები ჰოლანდია, ანდორა, ჩრდილოეთ ირლანდია, ესტონეთი და კვიპროსი არიან. ოლივეირას ხელმძღვანელობით პირველ შესარჩევ მატჩს ნაკრები 3 სექტემბერს ესტონეთთან სტუმრად ჩაატარებს.

ნიკა ზუბლაძე

გერმანია

ლიგის თასის ფინალი

ბაიერნი 5:1 ჰერტა

1:0 ციკლერი (50), 2:0 იანკერი (53), 3:0 სვერისონი (57 ს.კ.), 3:1 მიხალკე (61), 4:1, 5:1 ციკლერი (67, 85)

ბაიერნი: კანი, ფინკი, ანდერსონი, ლინკე, ჯეკინგერი (ბოლი 46), ჯოციბოვსკი, სფორცა, სალიჰამიჯიჩი, ტარნატი (ჰარგრივსი 78), სანტა კრუზი (იანკერი 46), ციკლერი

ჰერტა: კირალი, რემერი (სანე 27), სიმუნიჩი (მარკესი 55), სვერისონი, დაისტერი, დარდაი, ბაინლიხი (ფაიტი 72), ვოში, მიხალკე, დაეი, პრეეცი.

მიუნხენის „ბაიერნმა" 35 წუთში ბერლინის „ჰერტას" ხუთი გოლი გაუტანა და ახალი სეზონის პირველი ჯილდო მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მიუნხენელები ბუნდესლიგის თასის წინა სამი ფინალის გამარჯვებულებიც არიან.

ლევერკუზენული ფინალის პირველი ტაიმი ამხანაგურ მატჩს უფრო ჰგავდა. შესვენების მერე კი „ბაიერნმა" ტემპს უმატა და მეტოქე პირწმინდად დაჯაბნა.

50-ე წუთზე ალექსანდრ ციკლერმა ანგარიში გახსნა და სამი წუთის მერე კარსტენ იანკერმა მეორეც შეაგდო. კიდევ ოთხი წუთიც და „ბაიერნს" უკვე ბერლინელი მცველი იოლი სვერისონი დაეხმარა — ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. 61-ე ზუთზე კი მიხალკემ ერთი საპასუხო კი გაიტანა, მაგრამ თამაშის ბედი იმ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, მადაზე მოსულმა მიუნხენელებმა იერიშები განაგრძეს და იანკერის პასით ციკლერმა მეოთხე გაიტანა. მატჩის მიწურულს მანვე ერთხელაც დალაშქრა მეტოქის კარი და ჰეთ-თრიქის ავტორი შეიქნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბაიერნი" სრულ უპირატესობას ფლობდა. შტეფან ეფენბერგი, ჯოვანი ელბერი, პაულუ სერჟიუ, იენს იერემისი და ჩირიაკო სფორცა მოედნის შუაგულში მეტოქეს ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდნენ, დაცვას კი პატრიკ ანდერსონი მეთვალყურეობდა, თუმცა საქმე ბევრიც არ ჰქონია.

გამანადგურებელი ანგარიშის მიუხედავად, „ბაიერნმა" თამაში საკმაოდ დუნედ დაიწყო და პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ 34-ე წუთისთვის შექმნა, როცა როკე სანტა კრუზმა თავით ოდნავ უზუსტოდ დაარტყა. „ჰერტა" კი თავდაპირველად ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და უნდა ითქვას, რომ ის ახალი სეზონისთვის საკმაოდ კარგად მომზადებული გუნდი ჩანდა. თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებულმა ზედიზედ სამმა გოლმა ისინი გატეხა.

საინტერესოა, რომ „ბაიერნი" და „ჰერტა" ბუნდესლიგის პირველივე ტურში შეხვდებიან ერთმანეთს.

REUTERS ლეონარდ ზენნდან

გერმანიის ლიგის თასი მიუნხენის „ბაიერნმა" ზედიზედ მესამედ მოიგო

გულშემატკივარი: შემვუტიოთ!

მწვრთნელი: კი მაგრამ, ბალანსი?

დავიდ ტრეზეგე

ფილიპო ინძაგი

ალესანდრო დელ პიერო

„იუვენტუსის“ ოფიციალურმა საინტერნეტო ვებ-გვერდმა გულშემატკივართა გამოკითხვა ჩაატარა. მან ჩამოთვალა ტურინულ გუნდში დაგროვილი ყველა თავდამსხმელი, მათგან წყვილებისა და ტრიოების სხვადასხვა ვარიანტები შეადგინა და დაინტერესდა, როგორი შეტევის ხილვა სურდათ „ბებერი ქალბატონის“ ქომაგებს.

შედეგი ასეთი გამოვიდა: 40 ათასზე მეტმა ადამიანმა მხარი უკიდურესად აგრესიულ წინა ხაზს დაუჭირა: ფილიპო ინძაგი — ალესანდრო დელ პირო — დავიდ ტრეზეგე. გულშემატკივართა უმრავლესობამ „იუვეს“ თავდასხმა ასეთი შემადგენლობით ისურვა. ამას გამთამაშებლად ზინედინ ზიდანიც დაამატეთ და აშკარად გამოჩნდება რა სურს ხალხის 31,3 პროცენტს.

როდესაც ქომაგთა სურვილი „იუვენტუსის“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის მოახსენეს, მან მიუგო: „ასეთი თავდასხმა სანახავად ლამაზი იქნება, თუმცა ცოტა დაბალანსება აკლია. ასეა თუ ისე, მომავალ სეზონში ჩვენი გუნდის ავანგარდში ბევრ კომბინაციას იხილავთ. „იუვეში“ კარგი თავდამსხმელები და ნახევარმცველები გვარიანი რაოდენობით დაგვიგროვდა და თითოეულ მათგანს სარგებლის მოტანის საშუალება რომ მიეცეს, ერთი რომელიმე ვარიანტი არ უნდა ამოვიჩემოთ“.

ახლა მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ვარიანტებზეც ვთქვათ: 21,5 პროცენტი მიიღო დელ პიერო — ტრეზეგეს წყვილმა, 20 დელ პიერო — ტრეზეგე — დარკო კოვაჩევიჩის ტრიომ, 16,6 დელ პიერო — ინძაგის ნაცადმა დაუეტმა.

შედარებით ნაკლები მხარდაჭერა ჰპოვა ინძაგი — ტრეზეგეს (6,2) და დელ პიერო — კოვაჩევიჩის (4,4) ვარიანტებმა.

მისი პატარა ქალაქი

მატიას ალმეიდას ახალ თანაგუნდელებთან ხანმოკლე, მაგრამ სასიამოვნო შეხვედრა ჰქონდა. „ლაციოდან“ „პარმაში“ გადასროლილი არგენტინელი (იგი პორტუგალიელ სერჟიო კონსეისაოსთან ერთად რომაელებმა პარმელებს ერნან კრესპოში გაუცვალეს და ზედაც 17 მილიონი დაამატეს) ვალე დაოსტას საწვრთნელ ცენტრში ჟურნალისტებსაც წარუდგა, თუმცა შემდეგ ვარჯიშში ჩაბმა ვეღარ მოახერხა, რადგან კუნთის მცირე ტრავმა აქვს და ესაც არ იყოს, პირადი საქმეებითაა გართული — რომში ბინას ჰყიდის, რათა ახალი პარმაში იყიდოს.

„გასული სეზონი ფანტასტიკური მქონდა, თუმცა ამით გამარჯვებათა წყურვილი არ მომიკლავს. ახალ გუნდში ახალი სიმაღლეების დასალაშქრავად მოვედი“ — განაცხადა იტალიის 2000 წლის ჩემპიონმა.

„შემდეგ დასძინა: მე არგენტინის პატარა ქალაქში ვარ დაბადებული და პარმაში გადმოსვლა შინ დაბრუნებას მაგონებს. რომი ჩემთვის მეტისმეტად დიდია და ქაოსური. ჩემს ტემპერამენტს მყუდრო, მცირე დასახლებული პუნქტები უფრო შეეფერება“.

როგორც ჩემპიონს, ვითომ ალმეიდას „პარმას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი მუდამ დაჯავშნული ექნება? ამ კითხვაზე არგენტინელი ასე პასუხობს:

„იმედი მაქვს, ყოველ ტურში მოედანზე მიხილავთ და არა იმიტომ, რომ გასულ სეზონში ჩემპიონი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ კარგად ვითამაშებ. ვიცი, „პარმაში“ დიდი კონკურენციაა, მაგრამ გუნდში, რომელსაც გამარჯვება სწყურია ასეც უნდა იყოს“.

რაც შეეხება „პარმასადმი“ მისი ახალი ფეხბურთელის დამოკიდებულებას, ის ასეთია:

„არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, რომ „პარმას“ სერია A-ში უძლიერესი ნახევარდაცვა ჰყავს. დარწმუნებული ვარ სკუდეტოსთვის ბრძოლის უნარი შეგვწევს, მე კი, აკი უკვე მოგახსენეთ, ძალ-ღონეს არ დავზოგავ, რათა მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო“.

მატიას ალმეიდა ახალ გუნდში როკე ჟუნიორსა და საკო მილოშევიჩთან ერთად გამოცხადდა.

„მილოშევიჩის თამაში ევროპის ჩემპიონატზე ვნახე და მინდა მოგახსენოთ რომ დღეს იგი ერთ-ერთი უძლიერესთაგანია. მილოშევიჩი ფიზიკურად ძალიან ძლიერი გახლავთ და მარსიო ამოროსოს ტიპის ფორვარდს ჩინებულად შეეწყობა. რაც შეეხება ჟუნიორს, მასზე აუგის მთქმელი კაცი ბრაზილიაში სანთლით საძებარია“.

„პარმას“ პრეზიდენტმა სტეფანო ტანციმ ამას წინათ განაცხადა, რომ მის გუნდში მხოლოდ მოგების წყურვილით შეპყრობილმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. ალმეიდა აშკარად ამ ყაიდის ადამიანია.

„დიახ, საკუთარ თავს მეც ასე დავახასიათებდი. რომში ბევრი მეკითხებოდა „პარმაში“ გადასვლით ჩემპიონთა ლიგაში თამაშს იკლებ და ეს ძალიან დიდი მსხვერპლი ხომ არ არისო. ჩემი პასუხი ასეთი გახლდათ: მთავარი შეჯიბრების დასახელება კი არა, ადამიანის მიზანია. „პარმას“ თავის წილ შეჯიბრებებში გამარჯვება სწადია და ეს ყველაფრად ღირს“.

ერთი სიტყვით, ალმეიდას კვლავ ჩემპიონობა უნდა.

„ისე, როგორც არასდროს“.

პაპუნა კედია

მატიას ალმეიდა (№25)

პროფპოლიტურის ეთეროხილვა

განა პრესის ფურცლებზე ყოველთვის ოპერატიულად ხვდება მნიშვნელოვანი ამბები? არა, ცხადია. დაფარული ხშირად გვიან ცხადდება. მაგალითად, იცოდით რომ...

ივლისის პაპანაქებაში, ჩახუთულ ოთახში იჯდა გაბრაზებული ლეიტენანტი ჯემალ ნაზია და ფიქრობდა: „ვითომ სკვაზნიაკს რომ არ ვაწყობ, ეჭვმიტანილს ვაწამებ? მოვკვდი კაცი. სამი დღეა დაკითხვას ვაწარმოებ და დავიკელი თორმეტი კილო, ამას კი არაფერი ეტყობა“. ნაზიამ ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა.

— რა არი, ძმაო, ხო არ დაგცხა — მოესმა იატაკზე მიჭედებული სკამიდან.

ოფლში გახვითქულ ლეიტენანტს დახუთულობისგან თვალები უბნელდებოდა. მერე მოეჩვენა, რომ მის წინ ხელბორკილიანი ნიანგი იჯდა, მაგრამ უმალ თავი გააქნია და ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნა. მიჭედებულ სკამზე კვლავ ეჭვმიტანილი ენგელბერტ პონტელავა (დიდება მას) დაინახა.

— ე, ბიჭო! შენ ელადავე ჯო დასენს, გაიგე?! უკანასკნელად გეკითხები, ხარ თუ არა მზად, უანგაროდ ემსახურო ეროვნულ ფეხბურთს.

— ვინა, ტო, მე?

— შენ, აბა ბებიაჩემი?

— ბებიაშენი, ტო? ტრენერია და რამე?

— ვახ, მე ამის... — გამგელებულმა ჯ. ნაზიამ ერთბაშად სამი სიგარეტი ჩაიდო პირში, ოთახში კოშმარული ბუღი რომ დაეყენებინა, მაგრამ პირველივე ნაფაზის მერე მიჭედებულ სკამზე ისევ ნიანგი დალანდა. შემდეგ ნიანგი ნელ-ნელა ანტილოპად გადაიქცა და ლეიტენანტს ისევ თავის გაქნევა მოუხდა. სიგარეტები, ცხადია ჩაქრო.

— ბიჭო, შე დეგენერატო, მე, პატრიოტი ლეიტენანტი ჯემალ ნაზია შენს ერის სამსახურში ჩასაყენებლად ნიანგებს ველაპარაკები, შენ კიდევ რაღაცას ბუყბუყებ. რა დაგიშავე, გამაგებინე.

— შენ? მე, ტო? ჩემი დედა...

— დედას მოგცემ შე დაგრეხილო... მოდი ვიჭიდაოთ.

— მე და შენ, ტო?

— არა, მე და ბაბუაშენმა...

— ბაბუაჩემმა? აბა ნიანგებიო?

ჯემალ ნაზია მიხვდა, რომ მალე გადარევისგან მამბოს დაუვლიდა და ხრიკს მიმართა. მაგიდაზე შეენებულად დატოვა თავისი მობილური, თვითონ კი გვერდზე ოთახში გავიდა და იქიდან კერკეტა ბოყინაურის ტელეფონით დარეკა.

— ალო.

— ალო, ენგო ხარ, ჰონტელევა?

— ჰო.

— ბიჭო, ენგო, სვენ გორანი ვარ, ერიკსონი. შენს იქით გზა არ მაქვს.

— ვა.

— ენგელბერტ ძმაო. გუნდში იმდენი ფეხბურთელი დამიგროვდა, ვინ ვათამაშო არ ვიცი. მირჩიე რამე.

— ჰო?

— ჰო, ჰო. დაბრუნდი ფეხბურთში, დადექი „მაგრების“ ტრენერად, მე იტალიაში პაეზდკას გაგიკეთებ და შენ რამე მირჩიე.

— ჰო?

— მართლა, მართლა. უშენოდ რომი დაეცემა.

— ვა.

— ხარაშო?

— ხარაშო.

ჯემალ ნაზიამ ამოისუნთქა, ყურმილი დაკიდა, მერე სიხარულისგან შეიკუნტრუშა და იმ ოთახში, სადაც მიჭედებულ სკამზე ეჭვმიტანილი იჯდა, ფანჯარა და კარი გააღო.

ივლისი იდგა. ჰაერი არ იძვროდა.

ერთ კვირაში ენგელბერტ პონტელავამ „ფ.კ. მაგრებს“ პირველი ვარჯიში ჩაუტარა.

პაპუნა კედია

— ამ ზამთარს დენი იქნება?

— კი. საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, გერმანიაში...



მოტოროლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდნეი 2000

მუქთად არავინ აფრენს

ბოლო დროს ჩვენი გუნდის ავსტრალიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ბევრი საუბარია. ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

— სეოკ-ის აღმასკომმა უკვე დაამტკიცა დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც პრესაშიც გამოქვეყნდა. რას იტყოდით ამის შესახებ?

— ჩემი აზრით, აღმასკომის მიერ დამტკიცებული სია სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ყველა ქვეყნის ეოკ-ები დელეგაციათა ფორმირებისას ითვალისწინებენ. ის მკაცრად არის განსაზღვრული ოლიმპიური ქარტიის 42-ე მუხლით და სიდნეი-2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნით. ამასთან, ჩვენი დელეგაციის წევრთა სია შეჯერდა ამას წინათ რომში ჩვენსა და სააკრედიტაციო სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას. ამიტომაც შეუძლებელია, რომ სიაში ერთი კაცი იყოს კვოტს ზემოთ.

ჩვენი უდიდესი სურვილი იყო დელეგაციის შემადგენლობაში ყოფილ-ყვნენ ქვემო ქართლისა და იმერეთის სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც მაქსიმალურად ზრუნავენ თავიანთ რეგიონებში სპორტისა და ოლიმპიზმის საკეთილდღეოდ. ამის დასტურია ისიც, რომ ლიცენზიანტთა შორის ბევრი იქაური სპორტსმენია. იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი რეზო რობაქიძე, სხვა მეტად სერიოზული საქმითაცაა დაკავებული საბანკო სისტემაში და სიდნეიში წამოსვლას ვერ ახერხებს.

— სიდნეიში სხვებთან ერთად აჭარის რეგიონიც საკმაოდ სოლიდურად იქნება წარმოდგენილი...

— მოხარული ვარ, რომ აჭარა სიდნეიში საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება — სპორტსმენებით, სპორტის ხელმძღვანელებით, ჟურნალისტებით. ატლანტაში ამ რეგიონიდან სპორტსმენი საერთოდ არ იყო, სიდნეიში კი ერთბაშად 5 ათლეტი იასპარეზებს. აჭარაში სპორტი უყვართ და მისი ფასი იციან, ეს კი უპირველეს ყოვლისა ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ბატონ ასლან აბაშიძის დამსახურებაა. შესანიშნავი სტადიონი, ევროპული კლასის კორტები, ჭადრაკის სასახლე, საკალათბურთო დარბაზი... ერთი სიტყვით, აჭარის სპორტის ხელმძღვანელები უბედნიერესი ხალხია, რომ სპორტის ასეთი ქომაგი ჰყავთ.

— სიდნეიში ჩვენი გუნდის ავიაგადამყვანების თაობაზე ათას რამეს ამბობენ, ასევე სხვადასხვა ინფორმაციაა იმის თაობაზე, თუ ვინ გადაიხადა ან იხდის მგზავრობის ღირებულებას.

— მართლაც, დელეგაციის წევრთა ავიაგადამყვანებისა და ბილეთების საკითხს რატომღაც სხვადასხვა ინტერპრეტაციას უკეთებენ. ამას წინათ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ერთ-ერთ პოპულარულ გადაცემა „ფორტუნაში“ ითქვა, თითქოს საქართველოს ავიახაზების კომპანია „აირ ზენამ“, თავის თავზე აიღო გუნდის სიდნეიში გამგზავრება. ბატონი ბორის წიფურია ჩემთვის უსაყვარლესი პიროვნება და დიდი ხელოვანია, სპორტის გულშემატკივარიც. მის მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის გადაცემაში ოლიმპიური თემატიკამ რომ გაიელერა, მაგრამ მცირე უზუსტობა მაინც გაიპარა და მინდა განვმარტო, რომ „აირზენა“ საქართველოს ოლიმპიური გუნდის ერთ-ერთი ავიაგადამყვანია. იგი ჩვენ ათენამდე ჩაგვიყვანს, მაგრამ არა უფასოდ. ღმერთმა ქნას, მომავალში იგი ისე მომძლავრებულიყოს, რომ ამის საშუალებაც ჰქონდეს.

რაც შეეხება ავიაბილეთებს, იგი არც ქვეყნის ბიუჯეტის სახსრებით შეგვიძენია და ხარჯები არც TBC ბანკს დაუფარავს. ბანკიდან ჩვენ მხოლოდ სესხი ავიღეთ და ბილეთებიც ამგვარად დავჯაშნეთ.

სხვათა შორის, ბანკმა დახმარება დროულად გაგვიწია და მათი ხელმძღვანელობის მიმართ, კერძოდ კი ბატონების მამუკა ხაზარაძისა და ვახტანგ ბუცხრიკიძის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

— სპორტსმენები შიშობენ, წარმატების შემთხვევაშიც ვაითუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი საპრიზო ფონდი ვერ მივიღოთო.

— მსგავსი რამ გამორიცხულია და ამაზე საუბარიც არ უნდა იყოს. ღმერთმა ქნას, წარმატებები მოვიპოვოთ და სახელმწიფო ხაზინაც, კარგი გაგებით, ჩვენმა სპორტსმენებმა შეათხელონ. ეგ კი არა, ამას წინათ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ კახი ასათიანს შევხვდი და მისგან შევიტყვე, რომ ახლო მომავალში სპორტსმენთა ყველა დავალიანების გასტუმრებაც დაგეგმილი აქვს.

ძახა ბერიძე

დარჩა 42 დღე

ოლიმპიურ ჩემპიონთა ფიქრები

ორი შეკითხვა ჩემპიონებს

1. ქართული სპორტი და ოლიმპიზმი კრიზისშია, რაში ხედავთ გამოსავალს?

2. როგორია თქვენი პროგნოზი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა შედეგებზე?

ვაშა კაჭარავა: 1 რა თქმა უნდა, დღეს სპორტში არსებული კრიზისული მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფინანსური სიდუხჭირეა, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდები, რადგან მკითხველს ეს ისედაც კარგად მოეხსენება. ამიტომაც სხვა, ჩემი აზრით, მთავარ სიძნელეზე მოგახსენებთ.

დიდი სპორტული ტრადიციების მიუხედავად, დღევანდელ საქართველოში არის პრობლემა იმისა, რომ ჩვენი სოციალური ყოფა, ახალგაზრდების ჩვევები, ცხოვრების წესი და ა.შ. არანაირად არ შეესაბამება დიდი სპორტის მოთხოვნებს. სპორტი მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, რაღაცა აუცილებლად უნდა დათმო, რაც დღევანდელი ახალგაზრდებისთვის ძალზე ძნელია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ დღესვე უნდა ვიფიქროთ სპორტსმენთა საწვრთნელ-მოსამზადებელი პერიოდისას მათი იზოლირების (თუ ეს სიტყვა უხერხული არ არის) შესახებ. საჭიროა ცალკე მთაში და ცალკე ზღვაზე აიგოს სპორტული ბაზები, სადაც სპორტსმენები მოწყვეტილი იქნებიან ყოველდღიურ ყოფას და ვარჯიშის გარდა სხვა საფიქრალი არ ექნებათ. საბჭოთა კავშირის დროს რუსეთის ტერიტორიაზე მსგავსი ბაზები იყო და ისინი თავიანთ ფუნქციას საკმაოდ კარგადაც ასრულებდნენ. დროა ამის შესახებ საქართველოშიც იფიქრონ.

2. სიმართლე ითქვას, ოლიმპიური გუნდის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია გამაჩნია, ამიტომაც პროგნოზს ვერ გავაკეთებ. ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია და ზოგადი ფრაზებით შემოფარგვლა არ მსურს.

ლევან თედიაშვილი: 1. მე ამის შესახებ არაერთხელ განმიცხადებია სხვადასხვა გაზეთის ფურცლებზე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სპორტი პირველ რიგში მთავრობას უნდა აინტერესებდეს, მისმა წევრებმა ერისთვის სპორტის მნიშვნელობა კარგად უნდა შეიგნონ. ჯერ ქვეყანა უნდა გამოვიდეს ეკონომიკური კრიზისიდან და მაშინ, ალბათ, სპორტიც ფეხზე დადგება.

2. საერთოდ პროგნოზირება ოლიმპიადების წინ დიდად საჩოთირო საქმეა. თუ რა მოჰყვა ატლანტისწინა დაპირებებს, ყველას კარგად გვახსოვს. ისე, დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ მედლის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ლევან თედიაშვილი: 1. პირველ რიგში ეკონომიკა უნდა აღორძინდეს. ყველა სახელმწიფო მოვალეა ქვეყანაში სპორტის განვითარებისთვის იზრუნოს. დროა ეს ჩვენმა ბედოვლათმა მთავრობამაც შეიგნოს და ორიოდე თეთრი სპორტისთვისაც გაიმეტოს. ერთი სიტყვით, თუ ფულია, ყველაფერი კარგად მიდის, თუ არადა...

2. რა პროგნოზებზე შეიძლება საუბარი, როდესაც გუნდი თითქმის მოუმზადებელია. წარმატების მისაღწევად ხომ სისტემატური შეკრებები, საერთაშორისო სარბიელზე ხშირი გამოსვლა და რაც შეიძლება მეტ სპარინგ პარტნიორთან ჭიდილია საჭირო. ვერ გამიგია, როგორ შეიძლება სპორტსმენს შედეგი მოსთხოვო, როდესაც იგი სათანადოდ მზად არ არის. შეიძლება კაცს კალამი ხელში საერთოდ არ დაეკავოს და მერე უცებ ისეთი რამ დაწეროს, ნობელის პრემია დაიმსახუროს? აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენც და ოლიმპიადაზეც მხოლოდ იმისთვის მივდივართ, რომ სოკ-მა თავისი რიგებიდან არ გაგვრიცხოს.

ძახა ბერიძე

მეტოქეზე დაგეშილი

თავისუფალი სტილის მოჭიდავე ოთარ თუშიშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვისზეც გარკვეულწილად იმედებს ვამყარებთ. იგი ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩევა და საჭიდაო ხალიჩაზე უდრეკი და შეუვალია. მას მშობლიურ გორში შევეხმიანეთ და გავესაუბრეთ.



— როგორც ყველა ბავშვი, სპორტით მეც ვიყავი გატაცებული, — გვეუბნება ოთარ თუშიშვილი. ამასთან, მშობლებიც მოწადინებულნი იყვნენ, რომ მე და ჩემი ძმა სპორტსმენები გამოვსულიყავით, განსაკუთრებით მამა აქტიურობდა და ერთხელაც გორში სპორტდარბაზში მიგვიყვანა. მეც ძიუდოსა და ჭიდაობას შორის არჩევანი გავაკეთე.

— თქვენს კარიერაში ყველაზე ტკბილად და პირიქით რომელი ეპიზოდები გახსენდებათ?

— ნათქვამია, მოგება და წაგება ძმები არიანო. საერთოდ, სპორტსმენს წარმატების შეშნობაცა და მარცხის ვაჟკაცურად გადატანაც უნდა შეეძლოს. ჩემთვის ყველა ეპიზოდი უდიდესი სიხარულის მომგვრელი იყო, როცა ვიმარჯვებდი. განსაკუთრებით შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო გამიხარდა. ყველაზე მწარე მოგონებად კი ორი წლის წინანდელი ახალგაზრდული კონტინენტის პირველობა ჩამრჩა, როდესაც ნახევარფინალში ნეკნი გავიტეხე და ფინალში ველარ ვიჭიდავე.

— რატომღაც ისე ხდება, რომ უმაღლესი რანგის ტურნირებზე ჩემპიონობის მოსაპოვებლად ყოველთვის ერთი ნაბიჯი გაჟლდებათ. ამას რითი ახსნით?

— ბევრმა შეიძლება ეს მოუმზადებლობას მიაწეროს, მაგრამ მე ასე არ ვთვლი. ალბათ უფრო სათანადო გამოცდილება და ფსიქოლოგიური მომზადება მაკლია. საჭიდაო ხალიჩაზე ყოველთვის დიდი რწმენითა და მეტოქეზე დაგეშილი გავდივარ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ხელი მეცრება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას მოევლება.

— ახლახან წონის შეცვლამ თქვენზე უარყოფითი გავლენა ხომ არ იქონია?

— რა თქმა უნდა, წონის შეცვლა ყველა მოჭიდავისთვის მეტ-ნაკლებად მტკივნეულია. ერთს რომ ალღოს აუღებ, შემდეგ სხვაზე შეჩვევა ძნელია, მაგრამ ჩემთვის ამ პროცესს მაინცდამაინც ცუდად არ ჩაუვლია. მართალია, 63 კგ-ში გადასვლა ოლიმპიადამდე არ მინდოდა, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი და სასიდნეოდაც ფორმაში ვიქნები.

— ახლახანს იარიგინის „ა“ კატეგორიის ტურნირზე ვერცხლი მოიპოვე...

— როგორც ხედავთ, ისეთ გადამწყვეტ პაექრობაში დავმარცხდი, მაგრამ ტურნირზე ჩემი გამოსვლით საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობა არ შემეძლო. ფინალს თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ვიგებდი, მაგრამ ბოლოს ავნერვიულდი, ცალი თვალი ტაბლოსკენ მეჭირა და დროის გასვლას ვუყურებდი, რითაც ირანელმა მეტოქემ უმალ ისარგებლა და ბოლო წამებში ჩემპიონობაც წამართვა. ჩემთვის ეს უაღრესად გულსატკენი და იმავდროულად ჭკუის სასწავლებელიც იყო. მეორედ მსგავს შეცდომას აღარ გავიმეორებ.

— იარიგინის ტურნირი ოლიმპიურ თამაშებამდე თქვენთვის ალბათ ბოლო რეპეტიცია იყო.

— დიახ, ბოლო გამოცდა გახლდათ. დარჩენილ დროში მეტი ტურნირი ალბათ ზედმეტიც იქნებოდა. ოლიმპიადაზე გადაღლილობის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს.

— როგორ აპირებთ დარჩენილ დროში მომზადებას?

— ძირითადად შეკრებების ხარჯზე. ახლა ჩვენთვის რაც შეიძლება მეტი შეკრებებია საჭირო. იქ ნაყოფიერი ვარჯიშების გარდა კარგადაც დავისვენებთ, რაც სასიდნეოდ უსათუოდ წაგადგება.

— სიდნეიდან რაღას პირდებით გულშემატკივარს?

— უპირველეს ყოვლისა, ოლიმპიადაზე მონაწილეობა ჩემთვის უდიდესი პატივია, იგი ხომ ყველა სპორტსმენის ოცნებაა, ხოლო თუ იქ გამოსვლა მედლითაც დავაგვირგვინე, მაშინ ჩემზე ბედნიერი კაცი მთელ დუნიაზე არ იქნება.

— ოლიმპიური თამაშების მერე რას აპირებ?

— საზღვარგარეთ გახიზვნის არანაირი სურვილი არ მაქვს, მაგრამ ყველაფერი ოლიმპიადის შემდგომ ყოფაზეა დამოკიდებული.

ძახა ბერიძე

ბათუმის ჭადრაკის სასახლე

ბათუმელი მშვილდოსნები მედლებს უმიზნებენ

ატლანტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ აჭარაში სპორტმა საგრძნობი პროგრესი განიცადა. თუ ამერიკაში საქართველოს გუნდში აჭარიდან არც ერთი სპორტსმენი არ მონაწილეობდა, სიდნეიში ერთბაშად 5 იქაური ათლეტი იასპარეზებს. ავსტრალიაში რომ გუნდურ შეჯიბრშიც ვცდით ძალას, ესეც ბათუმელი მშვილდოსნების ხათუნა ფუტკარაძისა და ასმათ დიასამიძის დამსახურებაა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აჭარა (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) სპორტისა და ოლიმპიზმის საკეთილდღეოდ დიდი მონდომებით იღწვის. ნათელია, რომ ამ რეგიონის ხელმძღვანელობას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რას ნიშნავს ქვეყნისთვის სპორტი. ამიტომაცაა, რომ ჩვენი უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, აჭარაში სპორტსმენებს ყურადღებასა და სითბოს არ აკლებენ, შეძლებისდაგვარად ცდილობენ მათ ნორმალური პირობები შეუქმნან და ნაყოფსაც იმკიან. საქართველოს გუნდის 36 სპორტსმენიდან 5 აჭარაზე მოდის. მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ... ეტყობა, მომავალ ოლიმპიურ თამაშებში თუ სხვა მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებში აჭარელ სპორტსმენთა რაოდენობა გაიზრდება, მანამდე კი...

მანამდე გაგაცნობთ იმ აჭარელ სპორტსმენთა ვინაობას, რომლებიც სასიდნეოდ ემზადებიან და იმათაც, ვინც ამ ზღვისპირეთიდან მათთან ერთად იქნებიან. ესენი არიან:

მშვილდოსნები ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძე, გენადი ჩხაიძე, მძლეოსანი რუსლან რუსიძე, მწვრთნელი თამაზ ფუტკარიძე, გაზეთ „აჭარას“ წარმომადგენელი თენგიზ დუმბაძე, სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე.

ახლა მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც გვესაუბრებიან აჭარაში სპორტის განვითარების საკითხებზე, სასიდნეო სამზადისზე, ოლიმპიურ პროგნოზებზე...

რუსუდან სიხარულიძე: — აჭარაში სპორტის პროგრესი მართლაც აშკარაა და ძალზე სასიხარულოა, რომ შორეულ ავსტრალიაში საქართველოს გუნდში ჩვენი რეგიონის სპორტსმენებიც იქნებიან. ამ შედეგისთვის, ერთი და ორი წლის მუშაობის ხარჯზე არ მიგვიღწევია. იგი ფაქტობრივად წინა ოლიმპიური ციკლიდან მოყოლებული, მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფია. რა თქმა უნდა, ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია აჭარის უზენაესი ხელისუფლების ხელმძღვანელობამ ბატონი ასლან აბაშიძის მეთაურობით. რომ არა მათი ხელშეწყობა, აჭარაში სპორტის ასეთი წინსვლა არ იქნებოდა. აჭარის სპორტსმენთა ყველა სალიცენზიო თუ სხვა საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრება და მონაწილეობა ფაქტობრივად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსდა, რისთვისაც მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

რაც შეეხება პროგნოზს, წინასწარ რამის განსაზღვრა ძნელია. ფაქტი ისაა, რომ საქართველოში მოსამზადებელი პერიოდი ძალზე რთულ ვითარებაში მიმდინარეობს და შემდეგ სპორტსმენებისთვის პასუხის მოთხოვნაც გაუმართლებელი იქნება. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ისეთ სახეობებში, როგორებიცაა ჭიდაობა, ძალოსნობა, იგივე მშვილდოსნობა, ალბათ უმედლოდ არ უნდა დავრჩეთ.

თენგიზ ბოლქვაძე: — აჭარას სიდნეიში შეიძლებოდა მეტი სპორტსმენიც ჰყოლოდა. ვფიქრობდით, რომ ცხრა ლიცენზიანტი სპორტსმენი გვეყოლებოდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა, თუმცა, რაც შევძელით, ურიგო შედეგი ალბათ არც ეს უნდა იყოს. ამაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელისუფლებას მიუძღვის. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ სპორტსმენების დახმარებას. მაგალითად, ჩვენი სპრინტერი რუსლან რუსიძე უკვე ორი თვეა ბულგარეთში ემზადება და ესეც, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლების შემწეობით. მოხარული ვარ, რომ აჭარის უზენაეს ხელისუფლებას კარგად ესმის, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს სპორტი ერის წარმოჩენის საქმეში.

სპორტში პროგნოზები, როგორც იტყვიან, უმადური საქმეა, მაგრამ, მიუხედავად ყველანაირი გაჭირვებისა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩემი მთავარი მიზანი მშვილდოსან ასმათ დიასამიძის ოლიმპიური ლიცენზიის დაბევება იყო, რათა გუნდურ პირველობაშიც გვეასპარეზა. ეს სურვილიც რეალობად ვაქციეთ და ახლა სპორტის ამ სახეობიდან წარმატებებსაც ველით. მჯერა, რომ აჭარა ისევე, როგორც მთლიანად საქართველო, მწვანე კონტინენტზე კარგად წარმოჩინდება და ორ მედალსაც მოვიპოვებთ. სხვათაგან კი უპირველესად ნინო სალუქვაძისა და მოჭიდავეების მეიმედება.

ხათუნა ფუტკარაძე: — აჭარაში რომ სპორტში წინსვლა იგრძნობა, ეს ფაქტია. სასიხარულოა, რომ ჩვენს რეგიონში სპორტი უყვართ და შეძლებისდაგვარად სათანადო ყურადღებასაც გვაქცევენ. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ოლიმპიურ გუნდში 5 სპორტსმენი აჭარიდანაც იქნება. ეს პირველ რიგში ავტონომიური ხელისუფლების ხელმძღვანელობის დამსახურებაა. ისინი მთელი 4 წლის განმავლობაში, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ გვაკარებდნენ, ყველა მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირზე გვაგზავნიდნენ და ამ ერთობლივმა ძალისხმევამ ნაყოფიც გამოიღო. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლებისგან ყურადღება არც წინა ოლიმპიურ ციკლში გვაკლდა, მაგრამ მაშინ გამოუცდელობის ფაქტორმა მაინც თავისი გაიტანა და ოლიმპიური თამაშების მიღმა დავრჩით, თუმცა, როგორც ხედავთ, დანაკარგი ახლა ავინაზღაურეთ.

რაც შეეხება შედეგებს, სიდნეიში ტურისტების რანგში ნამდვილად არ მივემგზავრებით. ჩვენს მიერ ბოლო პერიოდში ნაჩვენები შედეგები თითქმის საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდება. დარჩენილ დროშიც თუ რაიმემ ხელი არ შეგვიშალა, სიდნეიში აუცილებლად მედლებისთვის ვიბრძოლებთ როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაშიც.

აქვე იმასაც ხაზგასმით ვიტყვი, რომ სასიდნეოდ აუცილებლად იარაღის ახალი კომპლექტი გვჭირდება, რადგან მშვილდები ყოველ წელიწადს გამოსაცვლელია.

რაც შეეხება ჩემს პროგნოზებს, განწყობილება კარგი გვაქვს და აჭარის წარგზავნილები სიდნეიში სულ ცოტა სამ მედალს მოიპოვებენ, ხოლო მთლიანად საქართველოს გუნდი ამდენივე ოქროს დაიმსახურებს.

ასმათ დიასამიძე: — ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ აჭარის სპორტის ასაღორძინებლად ადგილობრივი ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს. ამ 4 წელიწადში წინსვლისკენ აშკარად დიდი ნახტომი გავაკეთეთ, რაც მოპოვებულ 5 ლიცენზიაშიც ნათლად ჩანს. ახლა ჯერი ჩვენზეა. მათ ამაგი უნდა დავუფასოთ და ჩვენი ქვეყანა კარგად წარმოვაჩინოთ. ვფიქრობ, გუნდურ პირველობაში ოქროს უნდა გამოვკრათ ხელი, წარმატებისთვის პირად პირველობაშიც ვიბრძოლებ. საქართველოს დელეგაცია კი ალბათ, სამი ოქროს მედლით დაბრუნდება.

ძახა ბერიძე

ბათუმის საკალათბურთო დარბაზი



ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

დავით პოლოსიანი

თავისუფალი ჭიდაობა

დავით პოლოსიანი დაიბადა 1974 წლის 11 აგვისტოს გორში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1984 წელს ნუგზარ სხირელის მეთვალყურეობით.

იგი არის ახალგაზრდებს შორის 1990 წლის მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვებული, ასევე ახალგაზრდობის 1992-94 წლების ევროპის პირველობაზე გამარჯვებული და II პრიზიორი, ორგზის ევროპის ჩემპიონი (1997-98) 1997 წლის მედვედევის „ა“ კატეგორიის ტურნირის ფინალისტი, იარიგინის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ორგზის ჩემპიონი (1997-98). უცოლშვილო.

სამი კითხვა ლიცენზიანტებს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?

1. ჭიდაობა ბავშვობიდან მიყვარს. მის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ სიმპათიებს ვგრძნობდი. ამას დაუმატეთ მშობლების სურვილიც და ალბათ ნათელი გახდება ჩემი არჩევანიც.

2. მახაჩკალაში ვიყავით საერთაშორისო ტურნირზე. ღია ცის ქვეშ ჩატარდა, რამაც ძალზე გამაკვირვა, მაგრამ მუცელი საშინლად მტკიოდა და ჭიდაობის არანაირი სურვილი არ მქონდა. ერთი სიტყვით წასაგებად წინასწარ ვიყავი განწირული. ჩემი მოწინააღმდეგე საკმაოდ ძლიერი იყო. ასეთ მდგომარეობაში მასთან გამარჯვების შანსი არ მქონდა, მაგრამ ჩემდა ბედად, ორთაბრძოლამდე ორი წუთით ადრე ამინდი გაუარესდა და ორგანიზატორებმაც ტურნირი დროებით შეწყვიტეს. მეორე დღეს კი მეტოქეს ბდღვირი ვადინე.

3. წინასწარ დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ ძალებს არ დავზოგავ. რა გამოვა აქედან, მერე გამოჩნდება.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

ივლისის ანბანი

ქორქ ვეა უკვე მანჩესტერელია

ევროპის ჩემპიონმა ფრანგებმა მსოფლიოს რეკორდიც დაამყარეს: პირველები არიან, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის რანგში კონტინენტის ჩემპიონობაც მოიპოვეს

არგენტინის ჩემპიონი „რივერ პლეიტი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ გუნდმა ტიტული ვადამდე მოიპოვა. „რივერმა“ კლაუსურა მოიგო და რაკი აპერტურას (ჩემპიონატის პირველი ეტაპი) გამარჯვებულიც ის იყო, არგენტინის ჩემპიონად გამოცხადდა. რივერელებმა მოედანს საპატიო წრე შემოუარეს და ის იყო, გასახდელში უნდა ჩასულიყვნენ, რომ ქომაგთა მძევლებად იქცნენ. გუნდს გასვლით მატჩზეც მრავლად გულშემატკივარი ჩაჰყვა.

ბულგარეთის ნაკრების ყოფილი წევრი იორდან ლეჩკოვი პატარა ქალაქ სლივენის საავადმყოფოში მიიყვანეს. იგი კომაში იყო. ექიმებმა ლეჩკოვის მობრუნება მხოლოდ ელექტროშოკის საშუალებით შეძლეს. ანალიზებმა დაადასტურა, რომ ფეხბურთელმა ნარკოტიკების ზედმეტი დოზა მიიღო.

ბაზა, იგივე პოლ გესქოინი, ამიერიდან „ევერტონის“ ღირსებას დაიცავს. ფეხბურთელს „მიდლსბროსთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა. კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო იქ დარჩენა აღარ ისურვა და ლივერპულს მიაშურა, სადაც სიხარულით მიიღეს. „გაზას ჯერაც შეუძლია დიდი ფეხბურთის თამაში, მე მას ვენდობი“ — განაცხადა „ევერტონის“ თავკაცმა უოლტერ სმიტმა.

დიოჩლანდ! — გამოაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. გერმანია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფიფას აღმასკომის 24 წევრიდან 12-მა მას მისცა ხმა, 11-მა — სამხრეთ აფრიკას, ხოლო ერთმა თავი შეიკავა. ეს უკანასკნელი 78 წლის ჩარლზ დემპსი გახლდაც — 1982 წლიდან ოკეანეთის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი. მან მოგვიანებით განმარტა, რომ უცნობი პირები ემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, სამხრეთ აფრიკისთვის მხარი არ დაეჭირა.

ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი პედრო მუნიტისი ბედნიერია და აცხადებს, რომ ოცნება აუხდა. ამიერიდან იგი „რასინგის“ ფეხბურთელი აღარაა და მადრიდის „რეალში“ ითამაშებს. ტრანსფერის თანხა 10 მილიონი დოლარია. „რეალში“ თამაში ჩემი ყველაზე დიდი სურვილი იყო“ — ამბობს მუნიტისი.

ვუიადინ ბოშკოვი იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი აღარაა. ევრო 2000-ზე ჰოლანდიასთან 1:6 განადგურება გამოცდილ სპეციალისტს არ აპატიეს და მოხსნეს, მის ნაცვლად კი ილია პეტკოვიჩი დანიშნეს. ახალმა თავკაცმა 1968-დან 1974 წლამდე ეროვნულ გუნდში 43 შეხვედრა ჩაატარა.

ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დამთავრებას რვა წუთი უკლდა, როცა სამხრეთაფრიკელები 2:0 დაწინაურდნენ. დაწინაურდნენ და არეულობაც დაიწყო. ჰარარეს ეროვნულ სტადიონზე ქვებისა და შუშა-პლასტმასის წვიმა წამოვიდა, გოლის ავტორს ქვით გაუტეხეს თავი. მერე კი უარესიც მოხდა. პოლიცია საქმეში აქტიურად ჩაერია და იქაურობა ქაოსმა მოიცვა. უამრავი ადამიანი დაშავდა, მათგან ცამეტს კი საავადმყოფოშიც ვერაფერი უშველეს.

თუ დევიდ ბექემი „მილანში“ გადმოვა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ 64 მილიონ დოლარს გადავუხდი, ხოლო ფეხბურთელის ხელფასი კვირაში 180 ათასი დოლარი იქნება“ — თქვა „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ და მსოფლიო გაოცდა. 64 მილიონად ფეხბურთელი ჯერ არ გაყიდულა. არც ისეთი მოთამაშე გამოჩენილა, წელიწადში გასამრჯელოდ 9 მილიონ 400 ათასი ჰქონდეს.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედში“ საკადრო ცვლილებები მოხდა. მარტინ ედუარდსი, რომელმაც შეფის თანამდებობა 1980 წელს დაიკავა და დღეს „იუნაიტედის“ აქციების 6,58 პროცენტს ფლობს, კლუბს აღარ თავმჯდომარეობს. ამიერიდან იგი გუნდს პრემიერლიგასა და უეფაში წარმოადგენს. „მანჩესტერის“ მმართველი კი 1 აგვისტოდან პიტერ კინინონია, მან აღმასრულებელი დირექტორის პოსტი დაიკავა.

კაპიტნობაზე ოცნებობს დევიდ ბექემი. „მანჩესტერ იუნაიტედისა“ თუ ინგლისის ნაკრებისა? იქნებ ორივეს ერთად? მნიშვნელობა არა აქვს, ამბობს ნახევარმცველი, ოღონდაც კი კაპიტნის სამკლაური მოვირგოო. ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ნათქვამია და დევიდის საქმეც ასეა.

ვუიშ ფიგუმ „ბარსელონა“ დატოვა და მადრიდის „რეალთან“ გააფორმა კონტრაქტი. ტრანსფერი სარეკორდოა — 56 მილიონი დოლარი. პორტუგალიელი უკვე წარუდგა „სანტიაგო ბერნაბიუზე“ მისულ მადრიდელებს. „რეალის“ ახალმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ნახევარმცველს 10-ნომრიანი მაისურა გადასცა, ცერემონიალს კი თვით ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო დაესწრო. „რეალიდან“ „ბარსაში“ და პირიქით გადამსვლელთა რიცხვი კი იზრდება: მიქაელ ლაუდრუპი, ბერნდ შუსტერი, ლუის ენრიკე, ახლა ფიგუც.

მადრიდის „რეალის“ 19 წლის მეკარე იკერ კასილიასი, თავისი ასაკის მიუხედავად, უკვე იმდენი ტიტულის მფლობელია, ბევრს მთელი კარიერის მანძილზე რომ არ ღირსებია. მსოფლიოს ჩემპიონი მოზარდებს შორის და ჩემპიონთა თასის მფლობელი ახლა ევროპაში წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს.

ნიკოლა ანელკა მადრიდის „რეალიდან“ „პარი სენ ჟერმენში“ დაბრუნდა. ევროპის ჩემპიონმა ფრანგული სატრანსფერო რეკორდი დაამყარა — 31,3 მილიონი დოლარი. 21 წლის პარიზელი მშობლიურ „პარკ დე პრენსზე“ შეკრებილ გულშემატკივარს „პარი სენ ჟერმენისა“ და ბრაზილიური „კორინთიანსის“ ამხანაგური მატჩის წინ დაენახა და მიესალმა. „იქ დავბრუნდი, სადაც ბევრ ტიტულს მოვიგებ“ — განაცხადა ფრანგმა.

ოფიციალურად დადასტურდა, რომ „ბარსელონას“ მწვრთნელი მომავალი ერთი წლით ლორენს სერა ფერერი იქნება. ამ სპეციალისტმა შარშანდელი სეზონის დამთავრების, ანუ ლუის ვან გაალის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ გუნდის თავკაცის პოსტი დაიკავა, მანამდე კი სამი წელი „ბარსას“ ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში.

ვრინციპული კაცი გამოდგა დინო ძოფი. ერთხელ რომ თქვა, იტალიის ნაკრებიდან ნავალო, ვეღარავინ გადაათქვმევინა. მან „სკუადრა აძურას“ დატოვება სილვიო ბერლუსკონის განცხადების შემდეგ გადაწყვიტა. „მილანის“ პრეზიდენტმა ძოფი გააკრიტიკა, რაც მწვრთნელმა იწყინა. იტალიის ნაკრებს ღვაწლმოსილი ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგა სათავეში, ძოფმა კი რამდენიმე კვირაში ერთ-ერთ უდინურ უნივერსიტეტში ფიზმომზადების მასწავლებლად მუშაობა დაიწყო.

ქაკ შირაკმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები ელისეს სასახლეში ოფიციალურ სადილზე მიიწვია. ეს უდიდესი პატივია, რომელიც პრეზიდენტმა შეიძლება ვინმეს მიაგოს. სადილი 31 აგვისტოს გაიმართება.

რუსებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა განიზრახეს. ეს ინფორმაცია ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა გაავრცელა. პროექტი მხოლოდ ახლა იბადება და აქა-იქ სტადიონების ვარგისიანობაზეც ალაპარაკდნენ. მოვინდომებთ და ყველაფერს შევძლებთო, ამბობენ რუსები.

სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტის დასრულების შემდეგ, 2002 წელს, მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს. „ვეცდები, სერ ალექსი გადავარწმუნო და კლუბში უფრო მეტი ხნით დავტოვო“ — აცხადებს ინგლისის ჩემპიონთა ახალი შეფი პიტერ კინინონი.

ტოიოტას, ანუ საკონტინენტთაშორისო თასის ჩატარების თარიღი ცნობილია — 28 ნოემბერს, ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე, ერთმანეთის პირისპირ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“ და სამხრეთამერიკის „კოპა ლიბერტადორესის“ გამარჯვებული „ბოკა ხუნიორსი“ წარდგებიან.

კეთესი პირობებისთვის მოთამამეები კლუბს იცვლიან. არც გაემტყუნებათ. მსოფლიოსა და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო კი დაიჩაგრა — „ბარსელონაში“ მას შეუსაბამო ხელფასს უხდიან. თავად განსაჯეთ, იარი ლიტმანენს გაცილებით მეტი ჯამაგირი აქვს, ვიდრე რივალდოს. ამიტომაააა, ბრაზილიელის „ბარსელონადან“ წასვლაზე რომ ალაპარაკდნენ.

ფრანგი დავიდ ტრეზეგე „მონაკოდან“ ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა. ეს ტრანსფერი იმითაა საინტერესო, რომ ჯერ ერთი, „იუვენტუსში“ მატებაა და მეორეც, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ოქროს გოლის ავტორმა კლუბი გამოიცვალა.

ართველთა მეტოქემ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რუმინეთის ნაკრებმა მწვრთნელი გამოიცვალა — ემერიხ იენეი 47 წლის ლადისლაუ ბოლონიმ შეცვალა. ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ახალ თანამდებობაზე ორი წელი იმუშავებს.

ირსეული ძირითადში ითამაშებს — განაცხადა მარკ ბოსნიჩმა და ფაბიენ ბარტეზს „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველნომრიანი მაისურა დაუთმო, თვითონ კი 13 ნომერი მიიღო. იგი იმაზეც ყაბულსაა, რომ თუ სათანადო ფორმაში იქნება, მაშინ მაინც ათამაშონ. ეს იმიტომ, რომ „იუნაიტედში“ ბედნიერია და წასვლას არსად აპირებს.

ყოველთვის მსურდა, ჰოლანდიის ნაკრები გამეწვრთნა, დიდი მადლობა ნდობისთვის — განაცხადა ლუის ვან გაალმა და ჰოლანდიის ეროვნული გუნდი ჩაიბარა. ამსტერდამის „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ ყოფილმა ხელმძღვანელმა ნაკრებიდან თავისი ნებით წასული ფრანკ რაიკარდი შეცვალა.

უარშანდელი რეკორდი 50 მილიონი დოლარი, რომელიც „ინტერმა“ კრისტიან ვიერის სანაცვლოდ „ლაციოს“ გადაუხადა, წლეულს უკვე ორჯერ დაემხო. პირველად ეს იმავე „ლაციომ“ შეძლო. როცა „პარმადან“ არგენტინელი ერნან კრესპო 54 მილიონ დოლარად შეიძინა, შემდეგ კი შედეგი 2 მილიონით „რეალმა“ გაუმჯობესა. მსოფლიოში უძვირესი ფეხბურთელი სადღეისოდ ლუიშ ფიგუა.

ჩემპიონთა თასის მფლობელ მადრიდის „რეალს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს. არჩევნების ოფიციალური შედეგი ასეთია: კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კლუბის 30320 წევრმა, მათგან 55 პროცენტმა 62 ფლორენტინო პერესს მისცა, 45-მა — ლორენსო სანსს. ამრიგად, პერესის სიტყვამ, „რეალში“ ლუიშ ფიგუს გადმოვიყვანო (რომელიც შემდგომ აასრულა კიდეც), სანსის საქმე — ორი მოგებული ჩემპიონთა თასი გადაწონა.

ცხადია, გული მწყდება, „რეალიდან“ რომ მივდივარ, მაგრამ ვერაფერს გავაწყობ — განაცხადა ფერნანდო რედონდომ. 31 წლის არგენტინელი „მილანმა“ 19 მილიონ დოლარად შეიძინა. ხელფასი კი სარეკორდო დაუნიშნა — რედონდო წელიწადში 5,16 მილიონ დოლარს მიიღებს.

ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე ისეთ სუსტ გერმანიის ნაკრებს, როგორიც ევრო 2000-ზე წარდგა. ბუნდესნაკრებმა მხოლოდ ერთი ქულით დატოვა ტურნირი. შედეგმაც არ დაახანა — მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი გაათავისუფლეს და თანამდებობა 2001 წლის 1 ივნისამდე რუდი ფიოლერს ჩააბარეს. შემდეგ კი ნაკრებს „ლეგერკუზენის“ თავკაცი კრისტოფ დაუმი გაწვრთნის.

ნუთიც და ევროპის ჩემპიონობა იტალიას უნდა ეზეიმა, მაგრამ სიზვენ ვილტორდის ბოლო წუთზე გატანილმა და დევიდ ტრეზეგეს ოქროს გოლებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მარკო დელვეჯიოს გარჯა და გოლი წყალში ჩაეყარა. მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში პირველად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ერთი და იგივე გუნდი გახდა — საფრანგეთის ნაკრები.

ფორია, თითქოს ფრანც ბეკენბაუერი ფიფას პრეზიდენტობას აპირებდეს. ეს საქმე არ მაინტერესებს — განაცხადა გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ, ფრანც ბეკენბაუერმა, რომელიც ამჟამად გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტია. კაიზერ ფრანცი თანამემამულე კარლ ჰაინც რუმენიგეს სთავაზობს, მომავალში ფიფას პრეზიდენტობაზე კანდიდატურა წარადგინოს.

ხუან გასპარი „ბარსელონას“ ახალი პრეზიდენტია. იგი რამდენიმე თვის წინ წასული ხოსეპ ლუის ნუნიესის გამოთავისუფლებულ სავარძელში მოკალათდა. კატალონიური გრანდის პრეზიდენტის არჩევნების შედეგი კი ასეთია: ხუან გასპარი — 54,8 პროცენტი, ლუის ბასატი — 43,1 პროცენტი. არასწორად შევსებული ბიულეტენების გამო ხმების ორი პროცენტი დაკარგა, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, ბასატი გასპარს მაინც ვერ დაეწეოდა.

ჯოვანი ტრაპატონის იტალიის ნაკრებში მოხვედრას და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თამაშს აპირებს რობერტო ბაჯო. ჯერჯერობით კი საქმე ისეა, რომ 1993 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, 33 წლის ბაჯო მისი კლუბის, მილანის „ინტერის“ შემადგენლობაშიც ვერ ხვდება.

აქან შუქური ინტერესია. „გალათასარაის“ ფორვარდმა კონტრაქტი გააფორმა, თუმცა მისთვის იტალია უცხო ქვეყანა როდია. იგი ადრე „ტორინოს“ ღირსებას იცავდა. მაგრამ მაშინ თავი ვერაფრით გამოიჩინა, სამშობლოში დაბრუნდა და თქვა, სერია A-ში კიდევ გამიხსენებენო. თურქმა დანაპირები შეასრულა.

ქორქ ვეა

ლიბერიელი ჯორჯ ვეა ბრიტანეთში დარჩა. „მილანიდან“ ჩელსიში განათხოვრებული ფეხბურთელი იტალიურმა კლუბმა უკან აღარ დაიბრუნა. ფორვარდის დატოვება თავისთან არც ჯანლუკა ვიალიმ ისურვა, რის გამოც მსოფლიოს ყოფილი წლის საუკეთესო ფეხბურთელი ცოტა ხნით გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა. ვეამ საბოლოოდ „მანჩესტერ სიტისთან“ გაფორმა კონტრაქტი. მან „მეინ როუდს“ ორი წლით დაუკავშირა კარიერა და „სიტიში“ სადებიუტო მატჩი, შესაძლოა უახლოეს შაბათს „სტოკ-პორტთან“ ჩაატაროს. მანჩესტერლები ამ კლუბს ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

გაუწყეთ, რომ ვეას „სიტიში“ გადასვლა თითქმის გადაწყდა და მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებაღა იყო საჭირო. ესეც მალე მოგვარდა. „მანჩესტერში ჩამოვედი, რათა წარმატებებს მივაღწიო. „სიტისთან“ ერთად ევროთასების საგზური უნდა მოვიპოვო. ეს კლუბი ნამდვილად იმსახურებს ევროპულ ელიტაში თამაშს“ — განაცხადა ვეამ და დასძინა — „მართალია, ოდნავ ახალგაზრდული გუნდია, თანაც პრემიერლიგაში წლეულს დაბრუნდა, მაგრამ ბევრს ვიმუშავებთ, რათა ჩვენი სიტყვა ვთქვათ. ვიმედოვნებ, ახალ კოლექტივს მალე შევეჩვევი“.

„სიტის“ თავკაცმა ჯო როილმა ისიც განაცხადა, რომ „ვესტ ჰემის“ ფორვარდ პაოლო ვანჩოპესთან შეთანხმებას თითქმის მიაღწია და ფეხბურთელს სულ მალე ლონდონიდან მანჩესტერში 4 მილიონ გირვანქად გადაიყვანს, მისი კლუბი კი ახალ სეზონს ვეა—ვანჩოპეს შემტევი დუეტით დაიწყებს.

„როგორც კი „სიტის“ ხელმძღვანელებს ვესაუბრე, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი სჯეროდათ. ეს რომ ვიგრძენი მანჩესტერს იმიტომ მივაშურე — განმარტავს ვეა — ჩვენ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ, ამისთვის ყველა პირობა გვაქვს“.

მანჩესტერში იმედოვნებენ, რომ მიუხედავად ასაკისა, ვეას დიდი ფეხბურთის თამაში კიდევ ძალუძს და მომავალ ორ სეზონში ფეხბურთელი თავს გამოიჩენს „სიტიში“.

„ჟინოლას მაგალითს მოგიყვან, ვეას მსგავსად ისიც 33 წლისაა და ჩინებულად თამაშობს, სხვა უამრავ ფეხბურთელსაც დავასახელებ. დარწმუნებული ვარ, ვეას კვლავ შეუძლია თავის გამოჩენა — განაცხადა როილმა. თუნდაც ვეას „ჩელსიში“ თამაშის პერიოდს გადავხედოთ... მოკლედ, ყველაფერი ჯერ წინაა, ახალი სეზონი საცაა დაიწყება. ჩვენ ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, წარმატებებს მივაღწიოთ“.

ნიკა ზუგლაძე

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები
ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ივლისში მიუნხენში გამართულმა 2000-2001 წლების ევროთასების კენჭისყრამ კორაჩის თასზე საქართველოს ერთადერთ წარმომადგენელ თბილისის „მაკაბის“ ბელარუსის ჩემპიონი „სბკ გროდნო-93“ არგუნა მეტოქედ. პირველი მატჩი 27 სექტემბერს გროდნოში გაიმართება, საპასუხო — 4 ოქტომბერს თბილისში. ამ წყვილში გამარჯვებული კი გათამაშების მეორე ეტაპზე სამხრეთიმბირულ ირკუტსკის „შახტიორთან“ დაიჭერს საქმეს. ახლა კი, უკეთ გავეცნოთ „მაკაბის“ მოწინააღმდეგეს, რომლის შესახებაც მცირე წერილი ჩვენმა მინსკელმა კოლეგამ ნიკოლაი ცინკევიჩმა გამოგვიგზავნა

ცემბირის საგზური: გროდნო თუ მაკაბი?

„სბკ გროდნო-93“ ბელარუსის ოთხგზის ჩემპიონია, პირველად გუნდი 1996 წელს გახდა საუკეთესო, ბოლო სამ სეზონში კი პირველობას არავის ანებებს. ეგ კი არა, ბოლო ჩემპიონატში მხოლოდ ერთადერთხელ დამარცხდა, რეგულარულ ჩემპიონატში ქართველთათვის კარგად ნაცნობ მინსკის რტისთან წააგო. სამაგიეროდ, თბილისელთა მეტოქემ პლეი ოფი წაუგებლად განვლო და ფინალურ სერიაშიც მშრალად, 3:0 სძლია გომელის „სპარტაკ-კონდიტერს“.

„გროდნოს“ ბომბარდირები არიან ფორვარდი ოლეგ კვაშრუკი და უკანახაზელი ალექსი პინტიკოვი. ისინი შესაბამისად 16,2 და 13,9 ქულას აგროვებდნენ მატჩში საშუალოდ. ალექსი პინტიკოვს ბელარუსის ეროვნულ ნაკრებშიც მუდმივად იძახებენ, ქვეყნის პირველ გუნდში „გროდნოს“ ლიდერთაგანმა 44 მატჩი ჩაატარა.

ბელარუსის ჩემპიონს ავარჯიშებს ალექსანდრ ბორისოვი, რომელიც იმავდროულად ეროვნული გუნდის მწვრთნელიცაა. ბორისოვი წარსულშიც თავკაცობდა ნაკრებს, კერძოდ, 1995-98 წლებში, თუმც არასახარბიელო შედეგების გამო ერთხანს გაანთავისუფლეს კიდეც. სხვათა შორის, ალექსანდრ ბორისოვი თავის დროზე ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებსაც წვრთნიდა, რომელიც 1994 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა თანატოლებში.

ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ ევროთასს „გროდნო“ მეოთხედ შეუტევს. აქამდე ამ გუნდს სამჯერვე კორაჩის თასზე უთამაშია, თუმც რაიმე ხელშესახები მიღწევებით ვერ დაიკვეხნის. საწყის ორ ცდაზე „გროდნო“ პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა გათამაშებას, შარშან კი ჯგუფური ტურნირის 8 მატჩიდან სულ ორჯერ იმარჯვა და ჯგუფშივე ჩარჩა.

აზოტი ურეკში მოემზადება

საქართველოს ზედიზედ სამგზის ვიცე-ჩემპიონი, რუსთავის „აზოტი“ ახალი სეზონისთვის მზადებას უჩვეულოდ გვიან, 10 აგვისტოს შეუდგება. მოგეხსენებათ, რუსთავული კლუბის მესვეურებმა წლეულს კორაჩის თასზე თამაში იუარეს, ამიტომაც მწვრთნელებმა კალათბურთელებს საფუძვლიანი დასვენების საშუალება მისცეს. ბოლო წლებში ტრადიციად ქცეული მანავის შეკრებაც, სადაც „აზოტი“ ფიზიკურ კონდიციებს იუმჯობესებდა-ხოლმე, ამ მიზეზით არ შედგა და გუნდიც მხოლოდ ურეკის შეკრებით შემოიფარგლება.

ასე ხუთიოდ დღე „აზოტი“ მშობლიურ ქალაქში ივარჯიშებს, 15 აგვისტოს კი ურეკში ჩავა და იქ განაგრძნობს წვრთნას. რუსთაველები ზღვისპირეთში ორ კვირას დაჰყოფენ, რის შემდეგ კვლავაც რუსთავში მოემზადებიან.

გუნდის მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძის თქმით, ვანო გოგოლაძის გარდა, რომელმაც კარიერა დაასრულა, ილია კოჭლამაზაშვილმა და ზვიად ბაბიაშვილმაც დატოვეს „აზოტი“. ბაბიაშვილი, მოგეხსენებათ, უკრაინულ „ბკ კიევში“ გადასვლას ეშურება და თითქმის გაჩარხულიცაა საქმე, ილია კოჭლამაზაშვილს კი „აზოტის“ სათადარიგოებში ყოფნა მობეზრებია და ახლა თბილისურ გუნდებს აწონებს თავს. სავარაუდოდ, იგი „შევარდენში“, ანაც „მაკაბიში“ შეხვდება მეათე ჩემპიონატს.

რუსთაველთა თავკაცს რამდენიმე მოთამაშის დამატება სურს, თუმც დღემდე მოლაპარაკება არავისთან არ გაუმართავს. ჯერ კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე, ვისაუბრებთ და თუ ფინანსურ მხარდაჭერას აღგვითქვამენ, შევსებაზე მერე ვიფიქრებთო, ამბობს ხმელიძე.

გიორგი ბიკაშვილი

ჰიუსტონმა ტანი აიყარა

„ჰიუსტონ როკეტსმა“ რამდენიმე დღის წინ კონტრაქტები გაუფორმა დრაფტში აყვანილ ჯეისონ კოლერსა და დან ლანის. მოგეხსენებათ, ასეთ კალათბურთელებზე არ ვრცელდება ლიგის შეზღუდვა, რომელიც პირველ აგვისტომდე კრძალავს კლუბებსა და მოთამაშეებს შორის კონტრაქტის გაფორმებას.

კოლერიც და ლანიც უშუალოდ „ჰიუსტონს“ არ აურჩევია დრაფტში. ისინი „როკეტსში“ გაცვლების შემდეგ მივიდნენ. კოლერი მე-15 ნომრად „მილუოკიმ“ აიყვანა და „ჰიუსტონს“ მეცხრე ნომერ ჯოელ ბრეიბილაში გაუცვალა, თან ხურდად მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის უფლებაც მიაყოლა. ლანი კი „დალასმა“ ირჩია მეორე წრეში 31-ე ნომრად, შემდეგ კი იმავ „ჰიუსტონს“ ედუარდო ნაიერაში და მომავალი დრაფტის მეორე წრის არჩევანის უფლებაში გაუცვალა.

ჯეისონ კოლერი ჯორჯიას ტექნიკურ უნივერსიტეტში დავაჟკაცებულა, სადაც ორი წელი გაუტარებია, მანამდე იგი ამდენივე ხანს იცავდა ინდიანას უნივერსიტეტის ღირსებას. კოლერი 22 წლის ცენტრია, 213 სანტიმეტრისა და 116 კილოგრამის პატრონი და „ჰიუსტონში“ მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ბოლო თექვსმეტი წელია, „რაკეტებს“ ცენტრის პრობლემა არ ჰქონიათ, ახლა კი ამან შეიძლება თავი წამოყოს, რადგან ამ ხნის განმავლობაში გუნდის უცვლელი ცენტი ჰაკიმ ოლაჯუონი გვარიანად მობერდა და ახლო მომავალში პენსიაზე გასვლას აპირებს. ასე რომ, თუ კოლერმა შეძლო თავისი შესაძლებლობების გამოვლენა და წარმატებით შეეგუა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგას, ახლა თუ არა, ორიოდ წლის შემდეგ „ჰიუსტონის“ სასტარტო ხუთეულში ადგილი განაღდებული ექნება. კოლერი თავის ბოლო სტუდენტურ სეზონში მატჩში საშუალოდ 18,1 ქულას და 9,2 მოხსნას აკეთებდა.

„ჰიუსტონის“ მეორე ახალწვეულიც მეფარეა. 211-სანტიმეტრიანი ლანი ამპლუით თავდამსხმელია, მას ნაკლებად ცნობილ ვანდერბილთის უნივერსიტეტში სწავლების ოთხივე კურსი დაუხურავს. იქნებ იგი სადრაფტო სიებში საერთოდ ვერ მოხვედრილიყო, ბოლო სეზონში საგრძნობლად რომ არ მოემატა და პირადი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ თხუთმეტი ქულიდან ოცდაორამდე არ გაეზარდა.

ივანე კობიაშვილი

ნაკრებს დანკანიც გაუურბის



ტიმ დანკანი

ამერიკის ოლიმპიურ საკალათბურთო ნაკრებს კვლავ პრობლემები აქვს. სიდნეის ოლიმპიადაზე „დრიმ თიმმა“ შესაძლოა „სან ანტონიო სფურზის“ თავდამსხმელი ტიმ დანკანი მოისაკლისა. ეს კი, დაგვეთანხმებით, უდიდესი დანაკარგი იქნება თუნდაც ისეთი გუნდისთვის, როგორიც ვარსკვლავებით გამოჭედილი ამერიკის ნაკრებია. სიდნეიში დანკანი გუნდის ლიდერად მოიაზრებოდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ უთქვამს, ნაოპერაციევი მუხლი ბოლომდე არ მომშუშებია, ვშიშობ, სექტემბრისთვის მზად არ ვიქნები და ბოლომდე ვერ დავიხარჯებიო. დანკანმა მარცხენა მუხლი პლეი ოფის წინ დაიზიანა და ტრავმა იმდენად სერიზული აღმოჩნდა, რომ მას 24 მაისს ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. ისე, იმადება ეჭვი, რომ ტრავმა დანკანის, და არა მარტო მისი, ოფიციალური მიზეზია, „ოცნების გუნდს“ სიდნეიში არ წაჰყვეს. მანამდე ივივე საბაბით უარი განაცხადეს ტომ გულიოტამ და გრანტ ჰილმა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნბა-ს ბევრ სუპერვარსკვლავს ჩალის ფასად უღირს ოლიმპიური ოქრო და ოლიმპიადაზე თამაში დროის ფუჭად ხარჯვად მიაჩნია.

ნაკრების ხელმძღვანელობა იმედს მაინც არ კარგავს, რომ დანკანი ნაკრებს მოუბრუნდება. „რამდენადაც ვიცი, მას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია — ამბობს ნაკრების ხელმძღვანელი და ამავ დროს ნბა-ს ვიცეპრეზიდენტი რას გრანიკი — მე და ტომმა რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ და უახლოეს მომავალში კვლავ ვხვდები მას. ნაკრების საწვრთნელი შეკრება 25 აგვისტოს იწყება და იმედია, ტიმი გადათქვამს თავის სიტყვას“.

ვითარებას ართულებს ისიც, რომ ნაკრები ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას განიცდის. მართალია დანკანი ამპლუთ თავდამსხმელია, მაგრამ ცენტრის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია. მის არყოფნაში კი ნაკრებში მხოლოდ ერთი ცენტრი ალონზო მურნინგი რჩება, რომლის გარდა ფარქვეშ მოთამაშე სამია — კევინ გარნეტი, ვინ ბეიკერი შრიფ აბდურ-რაჰიმი. ამასთან ეს უკანასკნელი ფრთაა. გუნდის ხელმძღვანელობა აპირებს, შეეხმიანოს გასული სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს, შაკილ ონილს, მაგრამ მისი ნაკრებში ხილვის შანსი არცთუ დიდია. რამდენიმე თვის წინ ონილს ცივი უარი უთქვამს, სიდნეიში არაფერი მესაქმებაო. სხვა კანდიდატები არიან იუტელი კარლ მელოუნი, დენვერელი ანტონიო მაკდაიერი და დანკანის თანაგუნდელი დევიდ რობინსონი.

თავად დანკანი ახლა საკუთარი საქმეებითაა გართული. დღე-დღეზე იგი „სან ანტონიოსთან“ ახალ კონტრაქტს დადებს, რომელიც სამ ან ოთხწლიანი იქნება და ამ ხნის განმავლობაში შესაბამისად 32,1 ან 45,1 მილიონს მიიღებს.

ირაკლი ფირაშვილი

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

1 აგვისტო

ბოსტონ სელტიქსი: აიყვანა ფორვარდი მარკ ბლაუნტი
ჩიკაგო ბულზი: აიყვანა უკანახაზელი რონ მერსერი (ორლანდოდან)
დალას მავერიქსი: შეინარჩუნა უკანახაზელი ჰუბერტ დევისი და ფორვარდი გერი ტრენტი
დენვერ ნაგეთსი: შეინარჩუნა უკანახაზელი ტარიქ აბდულ-ვაჰადი და ფორვარდი რაიან ბოუენი
ინდიანა პეისერზი: შეინარჩუნა ფორვარდ-ცენტრი სემ პერკინსი
მაიამი ჰითი: შეინარჩუნა უკანახაზელი ენტონი კარტერი
მილუოკი ბაქსი: შეინარჩუნა ფორვარდი ტიმ ტომასი
ნიუ იორკ ნიქსი: შეინარჩუნა ფორვარდი კურტ ტომასი
ფინიქს სანზი: აიყვანა უკანახაზელი ტონი დელკი (საკრამენტოდან)
საკრამენტო კინგზი: შეინარჩუნა ფორვარდი სკოტ პოლარდი და აიყვანა უკანახაზელი ბობი ჯეკსონი (მინესოტადან)

ტომასი კვლავაც ხვადია

1 აგვისტოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ოფიციალურად გაიხსნა თავისუფალი აგენტების ბაზარი. ამ დღიდან ძველ კონტრაქტით ვადაგასულ მოთამაშეებს ნება მიეცათ, კლუბებთან ახალი ხელშეკრულებები გააფორმონ და პირველივე დღეს ამ უფლებით ათეულზე მეტმა კალათბურთელმა ისარგებლა. ზოგმა მათგანმა ძველ კლუბთან განაახლა კონტრაქტი, ზოგმაც ახალი მოძებნა. მათგან ყველაზე საყურადღებო ტიმ ტომასია.



ტიმ ტომასი

ტომასს ამ ზაფხულს დაუმთავრდა კონტრაქტი „მილუოკი ბაქსთან“ და მაშინვე სხვაგან გაექცა თვალი. საამისო მიზეზებიც ჰქონდა. აქ ტომასს გაცილებით ცოტას უხდიდნენ, ვიდრე მას შეეძლო მიეღო სხვა გუნდში და გარდა ამისა, ეს ნიჭიერი კალათბურთელი არ იყო სასტარტო ხუთეულის წევრი. იგი ამპლუით ფრთა გახლავთ, ამ პოზიციაზე კი მილუოკელი „ხვადების“ ბომბარდირი და ერთ-ერთი ლიდერი გლენ რობინსონი თამაშობს. მას გუნდი არსად გაუშვებს, ამიტომაც ტომასმა გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო. მას ჰყავდა რამდენიმე მსურველი, მათ შორის ყველაზე რეალური ვარიანტი „ჩიკაგო ბულზი“ გახლდათ. თითქმის გადაწყდა კიდეც, რომ ტომასი მომავალ სეზონში „ხარების“ ღირსებას დაიცავდა, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ კალათბურთელმა საჯაროდ განაცხადა, არსადაც არ მივდივარ ძველ გუნდში ვრჩებიო.

ტომასს გული „მილუოკისკენ“ მას შემდეგ მიუბრუნდა, რაც თანაგუნდელებს და მწვრთნელ ჯორჯ კარლს ესაუბრა. კარლმა შეძლო და იგი დარჩენაზე დაიყოლია. „ხალხს შესაძლებლობა არ ჰქონია, პლეი ოფამდე ტომას თამაში ენახა. მე ნამდვილ თამაშზე მოგახსენებთ. პლეი ოფში კი ყველანი სასიამოვნოდ გაგვაოცა — თქვა ჯორჯ კარლმა — მან არნახულად მოუმატა და გაბედავ და ვიტყვი, რომ მას ორჯერ მეტი შეუძლია. იგი მხოლოდ 23 წლისაა და ყველაფერი წინა აქვს. მოხარული ვარ, რომ ის კვლავ ჩვენთანაა. ტომას მიეცემა საშუალება, დიდი გუნდის განუყოფელი ნაწილი გახდეს“. კარლი სიტყვის კაცია, „მილუოკი“ მართლაც წლიდან წლამდე იზრდება და რაღა გასაკვირია, რომ ამ გუნდის ხუთეულში ტომასისთვის ვერ მოინახა ადგილი.

ასე რომ, საბოლოოდ მეექვსე კაცი, ანუ საუკეთესო შემცვლელი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში იქნება, კონკრეტულად რამდენხანს, ეს უცნობია, რადგან გუნდი საგულდაგულოდ მალავს კონტრაქტის პირობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრაზანების გადაფრენა

„სარბიელის“ გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით „მაიამისა“ და „შარლოტს“ შორის მოსალოდნელი გაცვლის თაობაზე. ამ გუნდებმა ერთ დღეში სიტყვა საქმედ აქციეს. გაცვლა შედგა, რომლის შედეგადაც ერთბაშად ცხრა კალათბურთელმა შეიცვალა გუნდი. „მაიამიმ“ „შარლოტში“ ხუთი კალათბურთელი — ფი ჯეი ბრაუნი, ჯამალ მაშბურნი, ოტის ტორპი, ტიმ ჯეიმსი და როდნი ბაფორდი გაუშვა, სანაცვლოდ კი ოთხი შარლოტელი „კრაზანა“ — ედი ჯონსი, ენტონი მეისონი, დეილ ელისი და რიკი დევისი მიიღო. მართალია, ამ გაცვლის მონაწილე კალათბურთელთაგან საუკეთესო ედი ჯონსი თავისუფალი აგენტი გახლდათ და იგი „შარლოტს“ აღარ ეკუთვნოდა, მაგრამ ძველმა კლუბმა მას კონტრაქტი განუახლა და მერეღა გაცვალა. ამ ტრედიის იდეაც იქიდან მოდის, რომ ჯონსს ძალიან სურდა „მაიამიში“ გადასვლა, რადგან წარმოშობით იქიდანაა, მაგრამ ფლორიდულ გუნდს არ შეეძლო მისი, როგორც თავისუფალი აგენტის აყვანა, რადგან იმდენი ფული არ ჰქონდა, რამდენსაც ჯონსი •მოითხოვდა, გაცვლის შემდეგ კი გუნდს რამდენიმე მილიონი გამოუთავისუფლდა სახელფასო ფონდში. ისე, ამ გაცვლით „მაიამიმ“ უფრო იხეირა, თუმც არც „შარლოტი“ დარჩება უკმაყოფილო. ეს გუნდი ჯონსს, როგორც თავისუფალ აგენტს, საერთოდ ჰკარგავდა, ახლა კი მის სანაცვლოდ კომპენსაცია მაინც მიიღო.

ახალშეძენილი ხუთი კალათბურთელიდან „შარლოტისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი ფრთა ჯამალ მაშბურნია. თუ მაშბურნმა ახალ გუნდში მომავალი სეზონი ისევე კარგად ჩაატარა, როგორც წინა, მაშინ იგი ახალი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდება. „შარლოტში“ ერთობ კმაყოფილები არიან მისი აყვანით. „ჯამალს მას შემდეგ ვაკვირდები რაც ნბა-ში მოვიდა და მისი ხელში ჩაგდება ყოველთვის მსურდა. იგი ძლიერი შემტევია და ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენთვის. ვფიქრობ, მას გუნდში დამკვიდრება არ გაუჭირდება“ — ამბობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ჯერი ბასი. ბოლო სეზონში მაშბურნი მატჩში საშუალოდ აკეთებდა 17,5 ქულას, 5,0 მოხსნას და 3,9 პასს. მას გარდა იმისა, რომ თავისი უზარმაზარი წონის წყალობით ფარქვეშ თამაშიც შეუძლია, სამქულიანებსაც კარგად ესვრის და გასულ სეზონში „მაიამის“ რიგებში ყველაზე მეტი, 112 სამქულიანი ჩაუგდია.

ფი ჯეი ბრაუნი, ისევე როგორც ჯამალ მაშბურნი, ეს ბოლო წლებია, „მაიამის“ სასტარტო ხუთეულის შეუცვლელი წევრი გახლდათ, თუმც იგი ისევე ნაყოფიერად ვერ უტევს მეტოქის კალათს, როგორც მისი თანაგუნდელი ჯერ „მაიამიში“ ახლა კი „შარლოტში“. ბრაუნი პირიქით, ჯამალისგან განსხვავებით, საკუთარ ფართან უფრო სასარგებლოა. „ფი ჯეის სამი სეზონის განმავლობაში ვწვრთნიდი „ნიუ ჯერსიში“ და მოხარული ვარ, რომ კვლავ მომეცემა მასთან მუშაობის საშუალება. მისი სიმაღლე და საბრძოლო სულისკვეთება მნიშვნელოვნად გაგვიიოლებს საქმეს ფარქვეშ“ — ამბობს „ჰორნეტსის“ მწვრთნელში პოლ საილასი.

ოტის ტორპს ნბა-ში 16 სეზონი გაუტარებია და ახლა მისი კარიერის დაისია. ტორპს საჩემპიონო გამოცდილება აქვს, იგი იმ „ჰიუსტონის“ ძირითადი თავდამსხმელი გახლდათ, რომელმაც ზედიზედ ორჯერ — 1994 და 95 წლებში — ჩემპიონობა მოიპოვა. მას ნბა-ში ათას ორასზე მეტ თამაშში მიუღია მონაწილეობა და საშუალოდ მატჩში 14,5 ქულა და 8,5 მოხსნა გაუკეთებია. ბოლო სეზონში ტორპის შედეგიანობა 5,5 ქულამდე დაეცა. სხვა ექმაიამელები — ტიმ ჯეიმსი და როდნი ბაფორდი ისევე როგორც ექსშარლოტელები — დეილ ელისი და რიკი დევისი, ამ გაცვლაში მხოლოდ ხურდის მოვალეობას ასრულებდნენ.

ახლა ვნახოთ, ვინ შეიძინა „მაიამიმ“ ზემოხსენებულთა სანაცვლოდ. პირველ რიგში ედი ჯონსი და ენტონი მეისონი. ეს ორი კალათბურთელი ფლორიდულ გუნდს უფრო გააძლიერებს. ჯონსის შესაძლებლობებზე თავისთავად მისი მაჩვენებლებიც მეტყველებს. ბოლო სეზონში იგი მატჩში საშუალოდ 20,1 ქულას, 4,8 მოხსნას, 4,2 პასს და 2,7 ჩაჭრას აკეთებდა. მისი 20,1 ქულა საუკეთესო იყო „შარლოტში“ და მე-19 შედეგი საერთოდ ლიგაში, ხოლო ჩაჭრებში ხომ ბადალი არ ჰყავდა. ჯონსი მნიშვნელოვნად მოაღონიერებს „მაიამის“ უკანა ხაზს მოედნის ორივე ნახევარზე. ამასთან ჯონსის მწვრთნელი იქნება ლეგენდარული პატ რაილი, რომლის ხელშიც ეს ნიჭიერი კალათბურთელი უფრო დაიხვეწება.

ჯონსთან ერთად „მაიამიში“ გადაბარგებული ენტონი მეისონიც გამოადგება „ჰითს“, რომელიც რა ხანია, ამაოდ იბძვის ჩემპიონობისთვის. ეს მძლავრი თავდამსხმელი ცენტრ ალონზო მურნინგს შეუწყვიტდება და გუნდის ლიდერს ფარქვეშ შრომას გაუადვილებს. მეისონს არ უნდა გაუჭირდეს ახალ გარემოსთან შეგუება, რადგან ივივე პატ რაილის მოწაფე ყოფილა „ნიუ იორკში“ ერთ დროს. მას კი კარგი ტაქტიკოსისა იმ მწვრთნელის სახელი დაუგდია, რომელიც არაფრით გამორჩეულ კალათბურთელსაც კი ვარსკვლავად აქცევს ხოლმე. ასე რომ, რაილი და კომპანია კვლავ შეუტევენ მაღალ მიზნებს და ამჯერად იქნებ პლეი ოფში პირველ და მეორე წრეს მაინც გასცდნენ.

ივანე კობიაშვილი



ჯამალ მაშბურნი (ბურთით) კრაზანა გახდა

ჰერლა Perla

პერლა

მარგალიტების მაღაზია

ოცნების ქალები და ერთი ანდრე

ტორონტო. „მასტერსი“. ჰარდი. საპრიზო 3 მილიონი $

ანდრე აგასიმ ამინდის ჭირვეულობის გამო შეწყვეტილი თამაში ბოლოს მაინც წააგო. ფრანგი ჟერომ გოლმარი საჩოგბურთო ელიტას არ განეკუთვნება, მაგრამ ჟინიანი მოთამაშეა და ხოტორა ამერიკელს ორივე სეტი ტაი-ბრეიკში მოუგო, იქ, სადაც თითქმის ყველაფერს ნერვები წყვეტს. თამაში ერთობ მძაფრი გამოდგა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 7:6 (7:4), 7:6 (8:6). პატრიკ რაფტერთან უმბლდონის ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ აგასიმ პირველად ითამაშა და, ამიტომ საკუთარი თავის მიმართ განსაკუთრებული კრიტიკა არ გამოუთქვამს. „ერთი ორი კვირა კიდევ მჭირდება, რომ ჩვეულად ავთამაშდე - თქვა აგასიმ — ახლა ბურთს ჩემებურად ვერ ვურტყამ, დაშავებული ზურგიც საქმეს ცოტათი კიდევ მიჭირებს, მაგრამ სულ მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება“. ზურგი აგასიმ ავარიის შემდეგ დაიშავა და ამ მიზეზით დევისის თასზე თამაშიც იუარა, რაც ამერიკის ნაკრების ავსტრალიური ფიასკოს ერთ-ერთი მიზეზი იყო. სამაგიეროდ, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი სიდნეის ოლიმპიადას არ გამოტოვებს, ანა კურნიკოვას, მარტინა ჰინგისისა და პიტ სამპრასისგან განსხვავებით (სამპრასზე ქვემოთ ვიტყვით), ანდრეს სიდნეიში თამაში გადაუწყვეტია. აგასიმ თანხმობა გუშინწინ განაცხადა და ამის გამოც გახარებულმა მწვრთნელმა, სტენ სმიტმა მასმედიას უთხრა: „ნაკრების შემადგენლობით მოხიბლული ვარ. სიდნეიში წესით ერთეულთა და წყვილთა მედლებიც უნდა გვერგოს“. აი, შემადგენლობა, რომელიც მწვრთნელის ოცნებებს კვებავს: ანდრე აგასი, მაიკლ ჩანგი, ტოდ მარტინი და ჯეფ ტარანგო ერთეულებში, ალექს ობრაიენი და ჯეირდ პალმერი წყვილებში. მათგან და საერთოდ დედამიწის ზურგზე აგასი ერთადერთი კაცია, ვისაც „დიდი სლემის“ ოთხივე ტურნირი და ოლიმპიადა მოუგია, ოღონდ სხვადასხვა სეზონებში, მისი მიჯნური შტეფი გრაფი კი მეტსაც დაიკვეხნის: 1988 წელს მან „დიდი სლემის“ ყველა ტურნირიც მოიგო და სეულის ოლიმპიური თამაშებიც (ამას „ოქროს მუზარადს“ უწოდებენ).

ახლა სამპრასის ამბავი. მან სიდნეიში გამგზავრებაზე უარი იმავე მიზეზით დაასაბუთა, როგორითაც კურნიკოვამ და ჰინგისმა. „გადატვირთული სატურნირო გრაფიკი მაქვს და ოლიმპიადა ვეღარსად ჩავსვი“. სურვილი ყოფილიყო, თორემ როგორმე ალბათ ჩასვამდა, რადგან საეჭვოა, ნაკლები თამაშები უწევდეთ ლინდსი დევენპორტს, მონიკა სელეშსა და ვინუს და სერენა უილიამსებს, რომლებიც უკლებლივ ჩაეწერნენ ამერიკელ ქალთა გუნდში, რომელიც სიდნეიში გამოვა. ერთეულებში ოთხივე იასპარეზებს, წყვილად თამაშისთვის კი შავი დები არიან შეგულებულნი. შემადგენლობით ამერიკის ქალთა ნაკრები ნამდვილი „დრიმ თიმია“. ალბათ ამან გაათამამა მისი მწვრთნელი ბილი ჯინ კინგი, როცა თქვა: „ჩვენი მიზანი ერთეულთა სამივე სინჯის მედალი და წყვილთა ოქროა. ეს სავსებით რეალურად გვეჩვენება“. ვითომ დანარჩენი მსოფლიო არ არსებობდეს, მაგრამ ეს ჩვენი განსასჯელი არ არის. ახლა კი ისევ ტორონტოს ტურნირს დავუბრუნდეთ.

იქ სამპრასიც თამაშობს. აგასის მსგავსად, მისი პირველი მეტოქე ფრანგი იყო, ოღონდ სამპრასმა მოიგო, თუმცა გვარიანი გაჭირვებით. მიშელ ლორდა ყმაწვილია და მას სამპრასთან წაგებისთვის ყურს არავინ აუწევდა. ამიტომ თამაშობდა სრულიად ლაღად და თავისუფლად, საჭირო დროს რისკავდა და ხშირად წარმატებითაც. ერთიც ვნახოთ, ფრანგმა პირველი სეტი მოიგო და მერე როგორ! ძნელად გასახსენებელია შემთხვევა, სამპრასი 5:3 დაწინაურებულიყოს და მერე სეტი წაეგოს და ავერ, ეს შემთხვევაც. ლორდამ ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და მეოთხესაც დიდებული ეისით დაუსვა წერტილი. მეორე სეტი სამპრასმა საკმაოდ იოლად მოიგო და მესამეც ჩინებულად დაიწყო, სამი გეიმი მიითვალა, მაგრამ ფრანგმა სულ რამდენიმე წუთში 3:3 გახადა. აქ სამპრასი არ დაიბნა, გამოცდილებას მოუხმო და იმდენი შეძლო, თამაში ტაი-ბრეიკში გადაიყვანა. იქ კი, ყმაწვილი ფრანგი, როგორც იქნა, გატყდა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში ამერიკელის სასარგებლოდ დაფიქსირდა — 5:7, 6:2, 7:6 (7:4). პრესკონფერენციაზე სამპრასი „გამოტყდა“, გამარჯვება დიდი გაჭირვებით მოვიდაო, თუმცა არც ის გამორჩენია, რომ სამ საათზე მეტხანს გაგრძელებულ თამაშს ამინდმაც დაასვა დაღი: ენერგიულად წვიმდა და ეს მეტად უჩინარს ხდიდა სამპრასის მთავარ კოზირს — სწრაფ მოწოდებას. გამარჯვებულმა მოწოდება მეტოქესაც შეუქო. „მე თამაშიდან თამაშამდე ვუმატებ ხოლმე — აღნიშნა შემდეგ სამპრასმა — ამიტომ ხვალ უკეთესად ვიმოქმედებ“.

ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა ჩილელ მარსელო რიოსთან წააგო, მაგრამ გული არ გახეთქვია, ისევე როგორც ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის ავსტრიელ სტეფან კუბეკთან წაგებისას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე დამარცხებული განთესილთა სიაში ირიცხებოდა, ჰენმანი მე-15 იყო, ლაპენტი — მეათე.

ჟერომ გოლმარი

პირველი წრე. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — 7:5, 3:6, 7:6 (7:0); **მარატ საფინი** (რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) — 6:4, 1:6, 6:3; **სტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 6:4, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) — 6:7 (5:7), 7:5, 6:4; **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — ფრანჯო სკილარი (არგენტინა) 7:6 (8:6), 6:4; **პატრიკ რაფტერი** (ავსტრალია) — ერვინდ პერმარი (დიდი ბრიტანეთი) — 6:1, 4:6, 6:3; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) — 6:4, 3:6, 6:3; **სარგის სარგისიანი** (სომხეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 6:4, 7:6 (8:6); **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ჰიშამ არაზი (მაროკო) — 6:3, 6:3; **არნო კლემენტი** (საფრანგეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) — 6:3, 6:3; **სებასტიან ლერუ** (კანადა) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 6:4, 6:1; **პარადორან შრიჩიპანი** (ტაილანდი) — კრის ვუდრაფი (აშშ) — 6:3, 6:4; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ჯეფ ტარანგო (აშშ) — 7:6 (7:3), 7:5; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — 6:3, 3:6, 6:1; **კირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — ემილიო ალვარესი (ესპანეთი) 6:2, 6:3; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ჯეიმს სუკულოვი (ავსტრალია) — 6:4, 6:4.

კარსლბადი, კალიფორნია. საპრიზო 535 ათასი $

უიმბლდონზე მეოთხედფინალიდან გავარდნის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, მარტინა ჰინგისი პირველად გამოჩნდა. კარლსბადის ტურნირის პირველ წრეში მას არ უთამაშია, მეორეში კი ბელგიელი დომინიკ ვან რუსტი ერგო მეტოქედ. სანდომიანი სახის ვან რუსტი ჩოგბურთის ფლავმანთა ერთ-ერთი უხერხულ მეტოქედ ითვლება, თუმცა ამჯერად ჰინგისს სერიოზული პრობლემები ვერ შეუქმნა და საათნახევარზე ნაკლებ დროში გამარჯვება მიულოცა — 6:2, 7:6 (7:2); „მშვენიერი გამარჯვება იყო — თქვა მერე ჰინგისმა — პირველი შეხვედრა, ძნელი მეტოქე, მოკლედ, უკმაყოფილო არ ვარ.“ განთესილებიდან ჯერ მხოლოდ გერმანელი ანკე ჰუბერი გავარდა. მან ამერიკელ ემი ფრეზერს პირველი სეტის ზედიზედ ექვსი გეიმი ჩაბარა და მეორისა სამიც. მერე ვითომ კი ათამაშდა, მაგრამ გვიანი იყო, ამერიკელმა გრანდიოზული ფორის გაფლანგვა აღარ ისურვა — 6:0, 7:6 (7:3).

პირველი წრე. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) — 6:3, 6:4; **ნატალი ტოზია** (საფრანგეთი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) — 6:4, 6:3; **სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) — 3:6, 7:5, 6:2; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — 6:2, 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) — 6:2, 4:6, 6:2; **ამანდა კუტცერი** (სამხრეთ აფრიკა) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) — 4:6, 7:5; 6:1; **მეილენ ტიუ** (აშშ) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 6:2, 2:6, 6:3; **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) — 4:6, 6:4, 7:5.

დავით გულუა



პიტ სამპრასი

მარტინა ჰინგისი



ლჰოცზე

ლჰოცზემ საღერღელი სხვა რუსებსაც აუშალა

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს 20 მთამსვლელმა იალბუზის ფერდობზე 4700 მეტრის სიმაღლეზე კარვების ქალაქი დასცა. დღეს ისინი იალბუზის აღმოსავლეთ პიკზე (5634 მ.) ასვლას ვეგმავენ, მერე კი დასავლეთის (5642მ.) მწვერვალზეც ავლენ. იქ სულ ცოტა 7 დღეს დაჰყოფენ.

იალბუზი ევროპის უმაღლესი მწვერვალი კი არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იოლად დასაძლევად ითვლება. ამიტომ რუსთა ამ ლაშქრობას ჩვენი ყურადღება არც უნდა მიეპყრო, რომ არა ერთი გარემოება. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ამ ლაშქრობით იწყებენ ჰიმალაიზე აღმართულ რვაათასიან ლჰოცზეზე საიერიშო სამზადისს, უფრო სწორედ მის შუათანა პიკზე ასვლისთვის თადარიგს იჭერენ.

ეს შუათანა პიკი, მოგეხსენებათ, ერთადერთი რვაათასიანი მწვერვალია, რომელზეც ადამიანს ფეხი არ შეუდგამს. მისი დალაშქვრა რუსთა სხვა გუნდმა წლევანდლამდე ორჯერ სცადა. ჯერ ლჰოცზე შარის გავლით, მერე კი ლჰოცზეს მთავარი პიკიდან, მაგრამ უამინდობის გამო ლაშქრობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. რუსებმა წლეულს ქართველებთან ერთად ბენო ქაშაკაშვილის მეთაურობით კვლავ სცადეს ლჰოცზეს მთავარი პიკიდან შუათანა მწვერვალის დალაშქვრა, მაგრამ ამაოდ. მათ უამინდობის გამო მხოლოდ მთავარ მწვერვალზე ასვლა მოახერხეს და შუათანა პიკზე ლაშქრობა სამომავლოდ გადადეს.

შეგახსენებთ, რომ შუათანა პიკი 8400 მეტრი სიმაღლისაა. გელა ოთარაშვილის თქმით, რომელიც ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე ავიდა, შუათანა პიკისკენ მიმავალი ბოლო მონაკვეთი ძალზე ციცაბო და ძნელად დასაძლევია. მაგრამ მთავარი პრობლემა ძირითადი მწვერვალიდან იქამდე მიმავალი ქედის გავლაა. მთავარი პიკიდან შუათანამდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით 600 მეტრია, მაგრამ მთაში პირდაპირ სიარული შეუძლებელია. ამიტომ ერთი მწვერვალიდან მეორემდე ჰორიზონტალურად კილომეტრი მაინც უნდა გაიარო. ლჰოცზეს ამ ორ თავს აკავშირებს ბასრი ქედი, რომელიც უშველებელი თოვლითაა დაფარული. ქედიდან გადაკიდებულია ისეთი ვეება კარნიზები, როგორიც მანამდე ჩვენს მთამსვლელებს თურმე არ უნახავთ, კარნიზის ჩანგრევა კი ნებისმიერ წამსაა მოსალოდნელი, მით უმეტეს, თუ ზედ კაცი შედგება. იქ დაცვის მოწყობა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს, რადგან ფაფუკი, გამომშრალი თოვლი ფქვილივით ფხვიერია.

იალბუზზე მოლაშქრე რუსთა ოცკაციანი ჯგუფის სერიოზულ განზრახვაზე მეტყველებს გუნდის წევრთა სიმრავლეც, რომლებსაც ევერესტზე საბჭოთა მთამსვლელთაგან ერთერთი პირველამსვლელი, სახელგანთქმული მიხეილ ტურკევიჩი მეთაურობს.

ავთანდილ ბჟვიშელი

გვეშველა: ფიშველ-ტიტვლები არ დავრჩებით

ბერ გეტყვით, ჩვენმა გუშინწინდელმა პუბლიკაციამ („ესენი ვინ არიან?!“) დაჩქარა თუ რა იყო, მაგრამ საქართველოს ოლიმპიელთა პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა. საუბარია საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ჩვენი ოლიმპიელებისთვის თანხის გამოყოფაზე.

გუშინწინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ 75 ათასი ლარის გამოყოფა, რაც უნდა გადარიცხულიყო პარიზული ფირმა „პიერ ბალმანის“ ანგარიშზე, რომელიც ჩვენი ოლიმპიელებისთვის სასიდნეოდ საალლუმო სამოსს კერავს.

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა გახარებულმა გვამცნო, რომ ფინანსთა სამინისტროს ჩვენი ოლიმპიელებისთვის 400 ათასი ლარი გამოუყვია, რაც ამ ეტაპზე საკმარისიაო. ზენაიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ დარჩენილ თანხას ფინანსთა სამინისტრო გრაფიკის შესაბამისად გამოყოფს.

ავთანდილ ბჟვიშველი

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული,
კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72

საქართველოს კარატისტთა ნაკრები

ქება და სამი ბრინჯაო სპარსეთიდან

13-16 ივლისს თეირანმა კარატისტთა მსოფლიოს ღია პირად-გუნდურ პირველობას უმასპინძლა. ღიას იმიტომ, რომ შეჯიბრი კუმიტესა და კატაში კარატეს ოთხ ყველაზე პოპულარულ სახეობაში — შიტორიუში, შოტოკანში, გოჯუკაიში და ვადორიუში ჩატარდა. ამ უფულობის პირობებში, როცა ოლიმპიური გუნდიც ჯერ მინიმალურად ვერ ფინანსდება, ცხადია, კარატისტებსაც არავინ შეეხვეწებოდა, თანხას მოგცემთ და ირანში წადითო. მათაც ჯიბეები მოიქექეს, წასასვლელი ფული ცხრა კაცმა მოაგროვა და ათასგვარი ტრანსპორტის გამოცვლით, წვალებ-წვალებით ჩააღწიეს თეირანამდე. იმ ცხრა კაციდან სპორტსმენი ექვსი იყო, რომელთაგანაც სამმა მედალი მოიპოვა, თანაც ყველამ ბრინჯაოსი. მესამე ადგილებზე გავიდნენ ზვიად გაბიცინაშვილი (+70) და ზაზა ბერიშვილი (+80), ახალგაზრდებში კი ასეთივე წარმატებას მიაღწია გიორგი კალანდარიშვილმა (-70), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თანაგუნდელი გიორგი წასიძე დაამარცხა.

თეირანში გუნდს ახლდნენ საქართველოს კარატე-დო შიტორიუ სეიშინკაის კავშირის პრეზიდენტი თემურ გიგნაძე და ვიცე-პრეზიდენტი გელა ახალაძე. ისინი ჯერ მსაჯთა სემინარში მონაწილეობდნენ, მერე კი წარმატებით ჩაბარეს გამოცდა და შავი ქამრის მესამე დანი მიენიჭათ. ახალაძე შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, კარატეს საერთაშორისო ფედერაციის (WKF) აზიის რეგიონის კურატორმა მსაჯობის საკითხებში, ირანელმა დოქტორმა რეიჰანმ სულაც ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯად დაასახელა. სულ ბოლოს ჩვენი გუნდი ირანის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა კაკავანდიმ ყველაზე პერსპექტიული გუნდისთვის დაწესებული საგანგებო თასით დაჯილდოვა.

ირაკლი თავაძე

ატო ბოლდონი



მარიონ ჯონსი

რა დროს ხუმრობაა?!

სპექტაკლი ურეპეტიციებოდ ვერაფერით შედგება და საეჭვოა, მარიონ ჯონსმაც წინასწარ მოუმზადებლად სიდნეის ოლიმპიადაზე ის თავისი გრანდიოზული და უპრეცედენტო პროექტი განახორციელოს, რომელიც „ხუთი ოქროს მედლის“ სახელს ატარებს. ეს რომ ასეა, ჯონსმა ჩვენზე უკეთ იცის და ამიტომაც გუშინწინ „სტოკჰოლმის დიდი პრიზის“ გათამაშებაში დიდი ენთუზიაზმით ჩაება. მან 100-მეტრიან დისტანციაზე ირბინა. შვედეთში, სადაც მსოფლიო მძლეოსნობის მოყვარულთა ეურადღების ცენტრმა მეზობელი ნორვეგიიდან გადინაცვალა („ოქროს ლიგის“ ოსლოური ეტაპის შემდეგ), ჯონსს ერთხელაც ჰკითხეს, მართლა აპირებ სიდნეიში ხუთი პირველი ადგილის დაკავებას თუ ხუმრობო. „ვხუმრობ... — გაიცინა ჯონუნსმა და უმალ სერიოზული იერი მიიღო — სიდნეის ოლიმპიადეზე ჩემგან დასახული მიზანი სავსებით რეალური მგონია და ვიცი, რომ მისი მიღწევა შემიძლია.“ ჯონსმა ურწმუნო თომმათათვის სიტყვას საქმეც მიაყოლა, როცა 100 მეტრი 10,68 წამში გაირბინა და კარიერაში პირველად 10,7-წამიან ზღვარს ჩასცდა. ზურგქარი ქროდა, ვერ ვუარყოფთ და გვარიანი სიჩქარითაც — 2,2 მეტრს უწევდა წამში, თუმცა ჯონსს ხასიათი არ გაფუჭებია. „ამაზე კმაყოფილი ვერაფრით ვიქნები — განაცხადა მორბენალმა — შედეგი საოცნებოა. აქამდე სულ რაღაც ტექნიკურ სიძნელეებს განვიცდიდი ხოლმე და ახლა პირველია, სულით და გულით რომ ვირბინე.“

ცოტა ხნის შემდეგ, გვარიანად შეღამებულზე, კაცებმა ირბინეს ასმეტრიანი: ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა და ბარბადოსელმა ობადელე ტომპსონმა ფინიშის ხაზი წყვილად, 10,01 წამში გადაკვეთეს, მაგრამ ფოტოფინიშმა გამარჯვება ბოლდონს უბოძა. მესამე ბრიტანელი დარენ კემბელი იყო და მეშვიდე (!) — კანადელი დონოვან ბეილი. აფსუს, ექსდიდებულო დონოვან!

ნორვეგიელმა შუბის მტყორცნელმა ტრინე ჰატესტადმა სამშობლოში ორიოდე დღით ადრე დამყარებული მსოფლიოს რეკორდის დამხობა არ ისურვა თუ ვერ მოახერხა, გრძელ დისტანციებზე კი კენიელებს ტრადიციულად ვერავინ აჯობა. 800 მეტრზე ქალთა შეჯიბრში სახელოვან მარია მუტოლას არ ჰყავდა ტოლ-სწორი. საერთოდაც, გირჩევთ, სტატისტიკური მონაცემები ყურადღებით ჩაიკითხოთ: ალბათ, „ოქროს ლიგის“ მონაწილეებში არ ერია იმ ოდენობის სახელოვანი ხალხი, რამდენიც „სტოკჰოლმის გრან პრიზე“. ქვემორე ცხრილები ამაში დაგარწმუნებთ.

დავით გულუა

სტოკჰოლმის დიდი პრიზი

ქალები

ჭოკით ხტომა. 1. ანჟელა ბალახანოვა (უკრაინა) — 4,50; 2. სტეისი დრაგილა (აშშ) — 4,45; 3. ელენა ბელიაკოვა (რუსეთი) — 4,40;

შუბის ტყორცნა. 1. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) — 67,92; 2. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) — 65,50; 3. ტატიანა შიკოლენკო (ბელარუსი) — 63,33.

სიმაღლეზე ხტომა. 1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) — 1,96; 2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) — 1,96; 3. მონიკა იაგარ-დინესკუ (რუმინეთი) — 1,92.

სიგრძეზე ხტომა. 1. დამ ბარელი (აშშ) — 6,98; 2. ერიკა იოჰანსონი (შვედეთი) — 6,78; 3. ინგანან გუანი (ჩინეთი) — 6,76.

800 მ. 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) — 1:56,98; 2. შტეფი გრაფი (ავსტრია) — 1:57,32; 3. ოლგა რასპოპოვა (რუსეთი) — 1:57,32.

100 მ. თარჯრბენი. 1. დელორენ ენის-ლონდონი (იამაიკა) — 12,74; 2. მელისა მორისონი (აშშ) — 12,82; 3. კეტი ანდერსონი (კანადა) — 12,86.

5000 მ. 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) — 14:42,9ᲗᲚ; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) — 14:44,34; 3. დერატრუ ტულუ (ეთიოპია) — 14:44,57.

100 მ. 1. მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,68; 2. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) — 10,98; 3. კრისტი გეინსი (აშშ) — 11,04.

კაცები

სამხტომი. 1. როსტისლავ დმიტროვი (ბულგარეთი) — 17,30 მ. 2. ლერი ეჩაიკი (დიდი ბრიტანეთი) — 16,99; 3. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) — 16,86.

სიმაღლეზე ხტომა. 1. ვიაჩესლავ ვოროონინი (რუსეთი) — 2,32; 2. კვაკუ ბოატენგი (კანადა) — 2,29; 3. სტეფან ჰოლმი (შვედეთი) — 2,29.

შუბის ტყორცნა. 1. სერგეი მაკაროვი (რუსეთი) — 83,42; 2. ერიკს რაგსი (ლატვია) — 83,05; 3. პატრიკ ბოდენი (შვედეთი) — 82,37;

3000 მ. წინაღობებით. 1. რუბენ კოსგეი (კენია) — 8:06,58; 2. ბერნარდ ბარმასაი (კენია) — 8:06,52; 3. უილსონ ბოიტ კიპკეტერი (კენია) — 8:08,33.

110 მ. თარჯრბენი. 1. ალენ ჯონსონი (აშშ) — 13,15; 2. რობინ კორვინგი (ჰოლანდია) — 13,25; 3. ევგენი პეტროკინი (რუსეთი) — 13,39.

100 მ. 1. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) — 10,01; 2. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) — 10,01; 3. დერენ კემბელი (დიდი ბრიტანეთი) — 10,06.

1000 მ. 1. ჯაფეტ კიმუტო (კენია) — 2:14,28; 2. პატრიკ კონჩელა (კენია) — 2:14,73; 3. უილიამ იამპოი (კენია) — 2:14,79.

400 მ. 1. ალეხანდრო კანდერასი (მექსიკა) — 45,31; 2. ჰენდრიკ მოგანიეცი (რუსეთი) — 45,37; 3. ჯერომ იანგი (აშშ) — 45,48.

1500 მ. 1. ანდრე დიასი (ესპანეთი) — 3:32,75; 2. კევინ სალივანი (კანადა) — 3:32,89; 3. ბერნანდ ლაგატი (კენია) — 3:33,61.

5000 მ. 1. რიჩარდ ლიმო (კენია) — 13:04,79; 2. ბენჯამინ ლიმო (კენია) — 13:05,11; 3. იბრაჰიმ ლალაფი (მოროკო) — 13:05,43.

მარლა მზეს და მედალს ხედავს

ამერიკელი მარლა რუნიანი პირველი ინვალიდია, რომელიც არაინვალიდთა ოლიმპიურ თამაშებზე, სიდნეიში გამოვა. 32 წლის მორბენალის მარცხენა თვალი მხოლოდ 7 პროცენტით ხედავს, მარჯვენა კი სულაც ხუთით, მაგრამ ამერიკულ „ტრაიელსზე“ დაკავებულმა მესამე ადგილმა რუნიანს სიდნეის საგზური მოუტანა და ამასთან უდიდესი ნატვრაც აუსრულდა. ამ დღეს მორბენალი 12 წელი ელოდა, სეულის ოლიმპიადიდან მოყოლებული. 9 წლის ასაკში დაბრმავებული რუნიანი 1992 და 96 წლებში პარაოლიმპიადებზე (ინვალიდთა ოლიმპიადაზე) გამოვიდა, იმავე 96 წელს შვიდჭიდში ამერიკის რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე რბენაში და ბოლოს ჭერქვეშ 3000-მეტრიანი დისტანცია ამერიკის ჩემპიონის რანგში დასრულა.

„ტრაიელსზე“ 1500 მეტრზე მორბენლებში დიდი კონკურსი იყო და მარლას აზრით, მას პირადი რეკორდის (4:05,27) გაუმჯობესება დასჭირდებოდა, რათა ნაკრებში მოხვედრილიყო, მაგრამ წამზე მეტით მაღალმა შედეგმაც იკმარა და სიდნეიში რუნიანი გაბრიელა საბოს, პაულა რედკლიფისა და ტეგლა ლორუპეს გვერდით ირბენს.

ბუბკას უკრაინა ჩააბარეს

სერგეი ბუბკას 36 წელი შეუსრულდა და აქალაქეს მყესის ტრავმა სტანჯავს, მაგრამ სიდნეის ოლიმპიადაზე უეჭველად გამოვა. ეს ამბავი გუშინწინ კიევში გაცხადდა. უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ვლადიმირ გერაშჩენკომ ისიც თქვა, რომ თურმე ბუბკა ოლიმპიადის არა რიგით მონაწილედ, არამედ თითქმის 240-კაციანი უკრაინის ოლიმპიური ნაკრების წინამძღოლად დაუსახელებიათ. მსოფლიო რეკორდებისთვის დიდი და, ცხადია, დამსახურებული პატივია.

კიდევ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ უკრაინის მთავრობას თავისი ოლიმპიელებისთვის სოლიდური პრემიები დაუწესებია: 50 ათასი დოლარი ოქროს მედლისთვის, 30 ათასი ვერცხლისთვის, 20 ათასს კი ბრინჯაოს მედალოსნები ირგუნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

VI ტური

ადმირა 2:4 რაპიდი
გრაცერი 3:1 ლინცერი
რიდი 1:1 ტიროლი

რუსეთი

გადადებული მატჩები

სპარტაკი 3:0 სატურნი
ანჟი 1:0 ლოკომოტივი

შვედეთი

XIII ტური

გიოტებორგი 1:2 ჰალმსტადი
სუნდსვალი 2:1 ელფსბორგი

ნორვეგია

XVII ტური

ბრინი 1:0 ვოლერენგა
ჰაუგესუნდი 1:1 ვიკინგი
ლილესტრიომი 2:0 ოდ გრენლანდი
ბოსი 1:6 ბოდიო გლიმტი
სტაბეკი 2:3 ტრომსიო

შვეიცარია

„ბ“ ჯგუფი. V ტური

ბელინცონა 2:0 ლუკარნო
დელემონი 3:0 ბადენი
სოლოთურნი 0:0 ვინთერთური
თუნი 4:1 კარუჟი
ვანგენი 2:1 კრინსი
ვილი 0:2 იანგ ბოისი

დაფასება

სევილიაში მიმდინარე ფრენბურთელთა 27-ე მსოფლიო კონგრესის მასალებში, მოწინავე ადგილას იქნება წარმოჩენილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩის სტუმრობა. ოლიმპიელთა მხცოვანი მამა მთელ მსოფლიოში დაფასებულია და რაღა ფრენბურთელები დაივიწყებდნენ მის ნაშრომ-ნაღვაწს. არ დაივიწყეს და აი, დასტურიც: ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, რუბენ აკოსტა დიდებულ თანამემამულეს „დიდი ჯვარის“ საპატიო მედლით აჯილდოებს.

REUTERS სგვილიადან

REUTERS მანჩესტერიდან

ალისფერი სიახლე

„ოლდ ტრეფორდზე“ ახალი სპორტული მაღაზია გაიხსნა. პრეზენტაცია მშვენიერი საბაბი იყო იმისთვის, რომ კლუბს თავისი ახალი ფორმა წარედგინა გულშემატკივრებისთვის. სერ ალექს ფერგიუსონი, ვეს ბრაუნი, იესპერ ბლომკვისტი და დევიდ მეი პრემიერლიგის თასს შემოუდგნენ და ახალი ალისფერი სამოსი გამოამზეურეს. ნაჩვევი „შარპ“ სადღაც გამქრალა, ამიერიდან „ემიუს“ „ვოდაფონი“ სპონსორობს.

ფლამინგოს დრო

REUTERS დარვინიდან

აღმოსავლეთ ტიმორი ვერ არის დამოუკიდებელი ქვეყანა, ინდონეზია არადა არ თმობს უნამუსოდ დაპყრობილ მიწას. მაგრამ ტიმორელები ოლიმპიადაზე მაინც იქნებიან: ჯერჯერობით არა ეროვნული, არამედ ოლიმპიური დროშით. 30 წლის ტაეკვანდოს მებრძოლი უკტოვ ფლამინგო აღმოსავლეთ ტიმორის ოლიმპიური გუნდის წევრია. წლების განმავლობაში, ინდონეზიის საოკუპაციო რეჟიმს ფლამინგოს თავისთვის ჯილდო ჰქონდა დაწესებული, ეს უკანასკნელი ხომ სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლია. მაგრამ დრონი მეფობენ და არა ოკუპანტები. ფლამინგო ოცნებობს, რომ სპორტულ ორთაბრძოლაში ვინმე ინდონეზიელს წაეყაროს.

REUTERS სტამბოლიდან

სასამართლო გრძელდება

აი, ეს შუაში რომ მოდის, გახლავთ ალი უმით დემირი. ვარაუდობენ რომ სასამართლოს რისხვა სწორედ ამ ჯეელზე გადაივლის. ორი ინგლისელი გულშემატკივრის მოკვლა სტამბოლის ქუჩაზე მეტად გახმაურებული ამბავი იყო იმისთვის, რომ სასამართლო წყნარად ჩატარებულიყო. 1 აგვისტოს სტამბოლის სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა ხუთიდან ოთხი ეჭვმიტანილი, რომელთა საქმის მოსმენაც მოგვიანებით გაიმართება.

მალიორკას წყალში

ჰალმა დი მალიორკაში ზღვის სეზონი ხურს. ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი იახტა „ბრიბონზე“ ტრიალებს. ამ კვირაში სამეფო თასის რეგატა გაიმართება და მეფე და „ბრიბონი“ თავად მონაწილეობენ მეფისავე დაარსებულ შეჯიბრში.



REUTERS ჰალმა დი მალიორკადან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge